



# ილორი

www.ilori.ge



№124 (185) 21-28 ივლისი 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო 30 თეთრი

## ღია წერილი აშშ-ის ელჩს საქართველოში ჯონ ბასს

ბატონო ელჩო, ეს წერილი თქვენი ქორწინების მიზეზით როდი დაიწერა, რის გამოც რამდენიმე დღის წინათ კალიფორნიაში გაემგზავრეთ, ის თქვენს სამსახურებრივ წუნს უკავშირდება. მოგმართავთ იმიტომ, რომ სწორედ თქვენ ბრძანდებით აშშ-ის მეფისნაცვალის საქართველოში, თუმცა, რუსეთის იმპერატორის მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვისგან განსხვავებით, აქ საკმაოდ უხეირო როლს თამაშობთ.

საქართველოში მუშაობის მესამე წლისთავე თქვენ, ალბათ, არაერთხელ გსმენიათ უნიკალური ქართული ხალხური სიმღერები და იცით, რომ ოთხ ხმაში მთავარი აქ „ბასია“, რომელიც ტონალობას უჩვენებს, ხოლო დანარჩენი სამი სრულად ორიენტირებულია მასზე. „ბასის“ როლი ქართულ პოლიტიკურ „მრავალხმიანობაში“ იდენტურია: ქართულ პოლიტიკას ტონს ელჩი ბასი აძლევს, ხოლო ხელისუფლების სამი შტო – პრეზიდენტი, პარლამენტი და მთავრობა – სრულად ორიენტირებულია მასზე.

ტყვილზურალოდ როდი შეგარქვეს „კრიზისული მენეჯერი“: ვაშინგტონის ადმინისტრაცია, ჩვეულებრივ, ბასს ყველა „ცხელი“ წერტილის „ცხელ“ მონაკვეთებზე აგზავნის: ის თურქეთისა და კვიპროსის კონფლიქტის დარეგულირებაში, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების თაობაზე ნატოსა და რუსეთს შორის მოლაპარაკებებში მონაწილეობდა, სათავეში ედგა ბაღდადის აღდგენის საქმეში სამთავრობო რაზმს ერაყში, ხელმძღვანელობდა სახელმწიფო დეპარტამენტის სწრაფი რეაგირების ოპერატიულ ცენტრს, რომელიც აშშ-ის საელჩოს თანაშრომლების ევაკუაციას უზრუნველყოფდა საგანგებო სიტუაციებში.

დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში აშშ-ის საელჩოს ევაკუაციამდე საქმე არ მივა. თუმცა, ნება მომეცით, ჰიპოთეტური კითხვა დავისვათ: რა განცდით დატოვებთ საქართველოს ამდენი „დემოკრატიის“ დამტოვებელი – 20% დაკარგული ტერიტორიებისა, არასრულყოფილი საარჩევნო სისტემა, ხელისუფლების კონტროლს დაქვემდებარებული სასამართლოები და ტელევიზია, „ნარკომანი“ ეკონომიკა, რომელიც ევროპული გრანტებისა და ამერიკული დახმარების „ნემსზე“ ზის, ტოტალური უმუშევრობა, სიღატაკე და 30 ათასი პატიმარი ციხეებში – 300%-ით მეტი, ვიდრე საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკაში იყო და 600%-ით მეტი, ვიდრე პირველი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას, მმართველობისას?

მოდით, თქვენი მუშაობის სულ ბოლო წუნზე შევჩერდეთ და კარგად გავიხსენოთ ფრაგმენტი პუბლიკაციიდან „და წვიმა ყველა ნაკვალევს შლის...“, რომელიც 26 მაისს დილით საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმის“ საიტზე [www.saqinform.ge](http://www.saqinform.ge) გამოქვეყნდა: „ჯონ

ბასს... წუხელ ერთი სიტყვით შექმლო სისხლისღვრის შეჩერება, თუმცა ეს არ გაუკეთებია! უფრო მეტიც – ტრაგედიაზე ორი საათით ადრე მოიწონა ხელისუფლების თვითნებობა, როცა სატელევიზიო განცხადებაში დემონსტრანტები მონათლა რადიკალურად, „რომლებიც ცდილობენ, გამოიწვიონ დაძაბულობა და კონფრონტაცია“, ანუ – დესტრუქციულ, საზოგადოებისათვის საშიშ და გასანეიტრალებელ ელემენტებად!

ამგვარად აშშ-მ 2011 წლის მაისში მორიგ ჯერზე უგანა პრეზიდენტ სააკაშვილს (როგორც 2008 წლის აგვისტოში, როცა არ გადაათქმევინა, დაეწყო საომარი მოქმედებები), რადგან ის თავისი უზომო ამბიციებითა და რუსეთთან მტრობით ამერიკისთვის მიუღებელი ხდება. მის გამო



საქართველოს ვერ იღებენ ნატოში, რადგანაც საქართველოს წევრობის შემთხვევაში სააკაშვილი ალიანსისგან მოითხოვს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას დახმარებას, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას რუსეთთან ომის გზით. ამიტომ ვაშინგტონმა სასწრაფოდ უნდა მოახდინოს მიზანდისკრედიტაცია, რათა საქართველოში რიგგარეშე არჩევნები ჩატარდეს. ამისათვის სააკაშვილი ჯერ პრაქტიკულად სომხად გამოაცხადეს (ტელეკომპანია „იმედი“, 2011 წლის 19 მაისი, „ქრონიკა“ 20:00 სთ.), წუხელ კი, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, აიძულეს, დაეღვარა საკუთარი ხალხის სისხლი, რის გამოც „სისხლიან დიქტატორად“ გამოაცხადეს.

პუბლიკაციის ავტორის ვერსიის კომენტარის გარეშე გვინდა, მოვახდინოთ იმის კონსტატაცია,

რომ დღეს თავის ვირტუალურ სამყაროში მყოფი სააკაშვილის ჩამოგდება პრეზიდენტის პოსტიდან და მისი, ვთქვათ, შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მთავარ რეჟისორად დანიშვნა, პროგრამა-მაქსიმუმი აღმოჩნდა: აშშ-ის უახლოესი მიზანი კი, რომელმაც სპეცრაზმის მიერ მომიტინგეთა სადამსჯელო ოპერაციის ჩატარების პროვოცირება მოახდინა, სავარაუდოდ, ვაჭრობის საგნის შექმნა იყო, რომელიც შეიძლებოდა გაცევადათ საქართველოს ხმაში რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მისაღებად! აშშ არ ითხოვს სააკაშვილის პასუხისგებაში მიცემას (ჯერჯერობით არ ითხოვს) და არც რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებს (როგორც ეს 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ მოხდა) იმის სანაცვლოდ, რომ საქართველო „მ-ტ-მ-ო“-ში რუსეთს მიღებას დათანხმდეს (როგორც ცნობილია, 2011 წლის 26 მაისამდე პრეზიდენტი სააკაშვილი საქართველოს „ხმაში“ რუსეთისთვის არარეალურ ფასს – რუსეთის ჯარების გაყვანას, ან, როგორც მინიმუმ, რუსეთის საზღვრებზე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან საკონტროლო-გამშვებ პუნქტებს ითხოვდა).

ბატონო ბას, განა არ გვესმის, რომ რუსეთის ფედერაციის გაწვევება „მ-ტ-მ-ო“-ში აშშ-ს უფრო ადვილად, ვიდრე რუსეთს? განა ამერიკა არ არის დაინტერესებული რუსეთის ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში სრულად ინტეგრირებით, რათა ისეთი ბერკეტის დახმარებით, როგორცაა „მ-ტ-მ-ო“, მასზე გავლენა მოახდინოს და სრულად გაიზიაროს ყველა „ლხინი“, უფრო ხშირად კი სავაჭრო პარტნიორობის „ჭირი“ გლობალური ეკონომიკური კრიზისების სახით, რომლებიც, ვაშინგტონის თვალსაზრისით, საკმარისად ვერ შეეხო რუსეთს? ასეთ შემთხვევაში, მაშ ვის ინსტრუქციებს ასრულებდა ქალბატონი ბურჯანაძე 21-26 მაისს: რუსეთის თუ აშშ-ის, ბატონო ელჩო?!

და კიდევ, იცით, რას ამბობს უბრალო ხალხი საქართველოში – ქუჩებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, სადამოლობით ეზოებში შეკრებილი? „ამერიკა საქართველოს უარეს მომავალს უმზადებს, რადგან მიხეილ სააკაშვილის ყველა მემკვიდრე, რომლებიც დღეს ამერიკულ „ქასთინგს“ გადის, მასზე ბევრად უარესია...“

ბატონო ბას, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნუ დაივიწყებთ „ბასის“ როლს ქართულ მრავალხმიანობაში, აფრინეთ ნოტა ამის შესახებ ვაშინგტონში და შეეცადეთ, მეტად „ადარ აიღოთ ყალბი ნოტი“... გილოცავთ დაქორწინებას და გულწრფელად გისურვებთ, რომ ქორწინებაში იმაზე მეტად გწყალობდეთ იღბალი, ვიდრე საქართველოში მუშაობაში!

საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი არნო ხიღირბეპიშვილი

**4 სარგანი ქრემლიოვი ბერიკა – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი**

თარგმანი როლანდ ჯალაღანიანი  
გური ოტობაია **11**  
**მურტმურტუ**

**7 რომორ ამოვიბოთ არჩევნები**



**3 კონსერვანსია: ჩიჩქაზი ხალხის ე. ნ. ბენოსილის აღიარება და მისი უღებანი საქართველოსთვის**

**„უინი“ ხალხთა მეგობრობის სიმბოლო!**



# საქართველო (კოლხეთი) – კასოზრიობის სივილიზაციის აკანონი

**საქართველო (კოლხეთი) ჩვენი სამყაროს უპირველესი და უდიდესი ქვეყანაა. იბერიად იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე პროფ. ლეონ სანიძემ დასაწყისი № 122, 123**

## შოთა ხვედელიძემ იბერიული (მებრული) ტაბულა გაშიფრა

1975 წელს ჟურნალში „Техника молодежи“ (№6) გამოქვეყნდა გაუშიფრავი იბერიული ტაბულა, რომელიც მადრიდიდან გამოგზავნა მეცნიერებათა დოქტორმა მანუელ დე დრანევიმ. სამი თვის შემდეგ თბილისელმა ინჟინერმა შოთა ხვედელიძემ ტექსტი გაშიფრა, რომელიც მთლიანად გამოაქვეყნა აღნიშნულმა ჟურნალმა.

1875 წლის II დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა დავით ჩიკიშვილმა ლინგვისტებისა და ისტორიკოსების დიდი თათბირი მოიწვია, რომელმაც მოისმინა შოთა ხვედელიძის ინფორმაცია. აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ ტექსტის წაკითხვა ნათვალა აბსოლუტურად სწორად.

ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები აკადემიკოსი ა. ბელოპლედევსკი წერდა: „თუ დადასტურდა (ჩანს დასტურდება) შ. ხვედელიძის პირობა, მაშინ რამდენიმე საუკუნით, 3479 წლით გადაიწვეს ქართული დამწერლობის საწყისი ისტორია, და ტექსტის დეტალურად გაცნობის შემდეგ ახდება დასკვნა: „მიმანია გაშიფრა, ტექსტის წაკითხვა, სწორადაა მომხდარი“.

ასეთივე შეხედულება ჰქონდათ ისტორიკოს ილია ბარაკოვს და იულიან ზიცარს. შ. ხვედელიძემ მის მიერ გაშიფრული ტექსტები ააღაპარა: დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის XV საუკუნეში, საქართველოში მოხდა ძლიერი მიწისძვრა, რომელიც იწინასწარმეტყველა

ქართველ ტომთა ბელადმა რომ და მოუწოდა ხალხს დაეტოვებინა საქართველო. ქვეყანა დატოვა 400 ათასზე მეტმა ადამიანმა. ისინი დასახლდნენ შემდგომში ბასკეთად წოდებულ ტერიტორიაზე, კართაგენსა და კორსიკაში, პირენეის მთების კალთებზე და ბასკეთის ყურის ნაპირზე.

წრდილოელმა ნაციონალ-შოვინისტებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ შოთა ხვედელიძის მიერ გაშიფრულ ტექსტზე მუშაობა უშედეგოდ დამთავრებულიყო და ამით ეს მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი ჩააგდეს.

სამწუხაროდ, მტკიცე ჯანმრთელობის მქონე შ. ხვედელიძე მალე გარდაიცვალა და ამ საქმით შემდგომში საქართველოში არავინ დაინტერესებულა.

## შანჩაბი (ბუანჩაბი) – მებრული ტომები

ფინიკიელთა ატლანტიდურ მითებში (ფინიკიელთა მიხედვით ატლანტიდიდან მოსულ ერთად პირველი კაცის სახელი არის „აიონი“, რაც აშკარად ჰგავს „აიას“ (კოლხეთს). აიას („აიონის“) შვილს ჰქვია „ფურ“, რაც ატლანტიდურ-ფინიკურ ენაზე ნიშნავს „ცეცხლს“. კოლხურად ეს სიტყვა ნიშნავს „ცეცხლს“; „ფურე“ კოლხურად (მეგრულად) ნიშნავს „მზურგალს“ (აქედან ქართული „ფურნე“). ატლანტთა ენაზე „ფურ“ არის ცეცხლის აღმომჩენი – ცეცხლის აღმოჩენა ატლანტებს მიეწერება.

კოლხურში არის აგრეთვე „ფურ-კი“ – „კამლი“. როგორც აღინიშნა, ატლანტი პრომოტეს ძმის, პრომოტე კი აიუტის ნათესავი.

მაიას კალენდარში ერთ-ერთ თვეს „მოლი“ ჰქვია. ეს ხომ არ არის ის „მოლი“, რომელიც გვხვდება „არგონავტიკაში“ და ეს ის „მოლი“ ხომ არ არის, რომლითაც მედეა ავადმყოფებს მკურნალობდა? – ეს წარდგინდა ქართული (კოლხური) სიტყვა.

„მოლი“ ფინიკიურად ზღვაში ნავსადგურის შესასვლელთან აგებულ გრძელ ტალღადაცემულ კედელს ნიშნავს.

ატლანტიდურ მითებში ლაპარაკია ორ ადამიანზე, რომლებიც გადაურჩნენ წარდენას: „ტატა“ და „ნენა“. ესენი უძველესი მეგრული სიტყვებია. „ნენას“ დღესაც დედას უწოდებენ სამეგრელოში („ნენა“, „ნანა“), ხოლო „ტატა“ („ტატალი“) სამეგრელოში აშუამადაც ჰქვია „ლაბაზს“, „საუცხოოს“, „მშენიერს“. მითების თანახმად დღევანდელი სწორედ „ლაბაზებს“, „საუცხოებს“, „მშენიერებს“ – არჩევდნენ წარდენის შემდეგ კაცთა მოდგმის გასაგრძელებლად.

მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ატლანტიდიდან მოდის ფინიკიური ალფაბეტი და მაიას ტომის ანბანი („კოლხუას ანბანი“). თუ ეს ასეა, მაშინ ფინიკიელების პირველი ანბანი შექმნა „თაუთ“-მა.

„თაითს“ ეგვიპტელები მთავრის ღმერთს „თოთს“ უწოდებდნენ. კოლხურში „თოუთი“ – „თიუთა“, „თუთა“, „მთავრის ღვთაებას“ („დამწერლობის ღმერთი“): ძველ კოლხეთში ეს ნიშნავს „მთავრს“, „თევს“, კვირის პირველ დღეს – „თუთა-ა-შხა“-ს (ორშაბათი)... მთავრის ეგვიპტური სახელი ეტყობა მეგრელებმა საკუთრებდა გაიხადეს.

ეს იქიდანაც ჩანს, რომ კვირულის შვიდ დღეთა სახელები მეგრულად მთავრის სახელით იწყება „თუთაშდლა“ – მთავრის დღე გაიხსნოთ ჭაბუა ამირჯიბის „დათა თუთაშხა“ – მთავრის პერსონაჟის გვარის ფუძე და ძირი „თუთაშხა“. ეს წარდგინდა სიტყვა.

ფინიკიელებს და ეგვიპტელებს მიანდათ, რომ მათი დამწერლობა მესამე ფუძე-ვაროდან მოდის. ამ მესამე „ფუძე-ვაროდ“ მეცნიერთა ნაწილი ატლანტიდურ ანბანს მიიჩნევს. ატლანტიდაზე დამწერლობის არსებობას ატლანტიდური ალფაბეტების („ტიმოს“-ი და „კრიტა“). კოლხუას ხალხმა მაიას ტომს ჩაუტანა ანბანი და კულტურის სხვა მონაპოვრები.

„აშ“ ფინიკიურად დედას ნიშნავს („აშ“

მეგრულად არის „ეს“), ფინიკიური „ზობო“ არის პაპა, „ზენ-ბენი“ – შვილისშვილი, „რაფა“ კი, ზოგადად, მკურნალს ეწოდება.

ფინიკია მდებარეობდა მცირე აზიის დასავლეთით, ზღვის სანაპიროზე. ფინიკიელები თავიანთ თავს „ანაის შვილებს“ ეძახდნენ. ქვეყნის მთავარი ქალაქები იყო ტირი და სიდონი. ცნობილია ისიც, რომ ფინიკიელები განთქმული ზღვაოსნები იყვნენ.

პროლოტეს მტკიცებით ფინიკიელები გაემგზავრნენ წითელი ზღვით, შემოუარეს „შავ კონტინენტს“ (აფრიკას), გაცურეს პერკულესის სვეტებამდე (პიბრალტარამდე) და შემდეგ ხმელთაშუა ზღვით კართაგენში ჩავიდნენ. ფინიკიელი მეზღვაურები თავიანთი პატარა იალქნიანი და ნიბიანი ხომალდებით ევროპასაც უვლიდნენ და შედიოდნენ ბალტიის ზღვაში, მის ნაპირებზე ვაჭრობდნენ უცხოელებთან, განსაკუთრებით დაკებდნენ „ელექტრონს“, ასე ეძახდნენ მამინ ქარვას, რომელიც სამკურნალო თვისებების მქონე ძვირფასეულობად ითვლებოდა. დასავლეთში პერაკლეს (პიბრალტარის) სვეტებს იქით მდებარეობდა ბენიერი, ანუ ბენიერების კუნძულები, რომლებშიც სიკვდილის შემდეგ ნათელმოსილი გმირების ანრიდები სახლდებოდნენ, სადაც უშფოთველად ცხოვრობდნენ და ტკებოდნენ მარადიული ბენიერებით. ამ კუნძულების მიწა-წყალს „ელისის კვლები“ ეწოდებოდა. ამას იხსენებს პომპროსი თავის „ოდისეაში“, ასევე ჰესიოდე, პინდარი და სხვები. ამ კუნძულებს ახსენებდნენ უძველესი არაბებიც ზღაპრებში და ლეგენდებში და მათ „სამარადისოს“, „ბენიერს“ უწოდებდნენ (ჯეხალ ელ-ხალიდადი), შემდეგ ამ კუნძულებს კარიბის კუნძულები ეწოდა.

**კლიმენტი შელია**, აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## ალექსანდრე ანკვაბი: „არჩივნები აფხაზეთში რჩეუბს არ გამოიწვევს“



„აფხაზური საზოგადოება და პოლიტიკური სიტუაცია საკმაოდ „მწიფეა“, რათა თავიდან იქნეს აცილებული რაიმე რყევები ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დროს“, – განაცხადა რეგიონის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე ანკვაბმა რუსულ გაზეთ „ნოვოე ვრემი-ასთან“ ინტერვიუში.

„არჩევნები დაგეგმილ ვადაში გაიმართება, არანაირი რყევები აფხაზეთში არ იქნება, მიუხედავად ცალკეული ბნელი პროგნოზისა. ჩვენ საკმაოდ მომწიფებული საზოგადოება, საკმაოდ მომწიფებული პოლიტიკური ძალები და საკმაოდ დემოკრატიული საარჩევნო კანონმდებლობა გვაქვს“, – განაცხადა მან.

58 წლის ანკვაბი, რომელიც 2005 წლიდან აფხაზეთის პრემიერ-მინისტრი იყო, ხოლო 2009 წლის დეკემბერში აფხაზეთის ავტონომიური რეგიონის – სერგეი ბაგაფშის ხელახლა არჩევის შემდეგ – ვიცე-პრეზიდენტი, პრეზიდენტობის ერთ-ერთი პოტენციური კანდიდატია.

თუმცა კითხვაზე – იყრის თუ არა იგი კენჭს 26 აგვისტოს არჩევნებში, ანკვაბმა პასუხზე უარი განაცხადა, აღნიშნა რა, რომ „უღამაზო“ იქნება ამაზე ახლა საუბარი, რადგანაც ბაგაფში „სულ ახლახან დაგასაფლავეთ“.

პრეზიდენტობის კანდიდატების

დასახელების ვადა 17 ივლისს იწყება. კითხვაზე – რა გავლენა ექნება მომავალ არჩევნებს თბილისთან ურთიერთობაზე, ანკვაბმა განაცხადა, რომ „არ აქვს მნიშვნელობა, ვინ მოვა ხელისუფლებაში აფხაზეთში, [საქართველოსთან] მშვიდობის შესახებ ხელშეკრულება მთავარი საკითხი იქნება“.

„მშვიდობის შესახებ ხელშეკრულება – ეს ჩვენი მომავალია, – განაცხადა მან, – ჩვენ კეთილმეზობლობაში გვინდა ცხოვრება, არ გვინდა ომი, არავისთან არ გვინდა ურთიერთობების გარკვევა... თუ ასეთივე კეთილი ნება იქნება საქართველოს ხელმძღვანელობის მხრიდან, ამგვარ დოკუმენტს შეიძლება მოეწეროს ხელი“.

საქართველოზე საუბრისას ანკვაბმა თბილისში სპეცრაზმის მიერ 26 მაისის საპროტესტო აქციის დარბევა გაიხსენა და განაცხადა, რომ ეს საქართველოს საზოგადოების „ღირსების შელახვა“ იყო.

„ჩვენთან ასეთი რამ არასდროს მომხდარა. და რისთვის გატარდა ეს „გადამწიფებელი ზომები“? – აღლუმისთვის, ანუ პროპაგანდისტული მიზნებისთვის. ეს ხელმძღვანელობის სტილია. ამას საქართველოს მოქალაქეებთან მიმართებაში არ ვამბობ“, – განაცხადა ანკვაბმა.

ანკვაბის თქმით, გალის რაიონში „ვითარება უმჯობესდება“ და ხუთ წელიწადში მოხდება რაიონის ინტეგრირება აფხაზურ ეკონომიკაში.

„იქ ბევრი პრობლემაა, თუმცა არც ისეთი დრამატული, როგორც ამის წარმჩენა საქართველოს და რამდენიმე სხვა ქვეყანას სურს“, – განაცხადა მან.

2005 წლის შემდეგ ანკვაბზე, სულ ცოტა, ოთხი თუ ხუთი თავდასხმა განხორციელდა. ბოლო თავდასხმა 2010 წლის სექტემბერში მოხდა.

2005 წლის თებერვალში უცნობმა შეიარაღებულმა პირებმა სოხუმის

მახლობლად ცეცხლი გაუხსნეს ანკვაბის ესკორტს. იმ დროს ადგილობრივი ტელევიზია იტყობინებოდა, რომ მის მანქანას 17 ტყვია მოხვდა. თუმცა ანკვაბი, რომელიც მაშინ პრემიერ-მინისტრი იყო, მისი მოადგილის მანქანაში იჯდა და არ დაშავებულა.

2005 წლის აპრილში ანკვაბი კვლავ უვნებელი გადარჩა, როდესაც სოხუმის მახლობლად მის ესკორტს ისევ გაუხსნეს ცეცხლი. ამჯერად ანკვაბის მიღობი დაიხტრა.

2007 წლის ივნისში სოხუმსა და გუდაუთას შორის მდებარე გზაზე დისტანციური მართვის ნაღმი „ფუგასი“ აფეთქდა. მაშინ სოხუმში აცხადებდნენ, რომ ნაღმის სამიზნეს, რომელიც იმ ტრასაზე იყო დამონტაჟებული, სადაც ანკვაბის კორტეჟი რეგულარულად მოძრაობდა, სწორედ ანკვაბი წარმოადგენდა. მაშინ იტყობინებოდნენ, რომ ნაღმი შემთხვევით აფეთქდა, რის გამოც საგარეო ურთიერთობების მინისტრი არ შედგა.

2007 წლის ივლისში ანკვაბის მანქანას, რომელიც იმავე მარშრუტით გუდაუთასა და სოხუმს შორის გზაზე გადაადგილდებოდა, ყუმბარმტყორცნიდან ესროლეს, რის შედეგადაც ანკვაბმა მცირე დაზიანება მიიღო.

2010 წლის სექტემბერში ანკვაბი ხელისა და ფეხის არეში დაიჭრა მას შემდეგ, რაც ყუმბარმტყორცნიდან გასროლილი ჭურვი მისი კუთვნილი ორსართულიანი სახლის სახურავს მოხვდა.

არცერთი ეს შემთხვევა ბოლომდე გამოძიებული არ ყოფილა და არც არავინ დაუკავებიათ.

„New Times“-თან ინტერვიუში ანკვაბმა განაცხადა, რომ გამოძიება კვლავ მიმდინარეობს და რომ ამ თავდასხმების უკან „შიდა“ აფხაზური ძალები დგანან, თუმცა დეტალებზე საუბრისგან მან თავი შეიკავა.

## ბერმანიაში მცხოვრებმა ქართველმა შალვა ნიკლაურმა ფიფილოა გამოაცხადა

ახალი პოლიტიკური ძალა „თეთრი მოძრაობის“ (თეთრები) წევრმა, საქართველოსა და გერმანიის მოქალაქე შალვა ნიკლაურმა 21 მაისს ბათუმსა და 26 მაისს თბილისში მშვიდობიან მომიტინგეთა დარბევებსა და დაჯერების პროტესტის ნიშნად გერმანიაში შიმშილობა გამოაცხადა.

„მე ეროვნული მოძრაობის სათავეებთან მდგომი პირთა ვარ, ვამაყობ იმით, რომ მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიასთან ერთად მთავარი საბჭოს წევრი ვიყავი, მიმივე პერიოდები გავიარეთ და მივედით თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველომდე. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ დამოუკიდებელ საქართველოში ხელისუფლება ასეთი სიძულვილით იქნებოდა საკუთარი ხალხის მიმართ განწყობილი. შემძრა თეთრების მიერ მომზადებულმა ანალიტიკურმა დოკუმენტმა „საქართველოს მოსახლეობის გენოციდი“, „მიხილების მუხეუმში“ მოცემულმა ხელისუფალთა სასახლეებმა. მაგრამ ის, რაც 26 მაისს მოხდა, ჩემს ყველაწარმომადგენელს აჯარბებს. ყველაფერი ამის შემდგომ, რომ საქართველოს მოსახლეობას გენოციდს უწყობენ, ხელისუფალნი განცხრომით ცხოვრობენ, სისასტიკეს იჩენენ საკუთარი ხალხის მიმართ, ქართველობას არბევენ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, იჭერენ თავისუფლად მოაზროვნე ადამიანებს, იჭერენ ჩემს მეგობარ სოსო ჯაჭველიანს... მე უფლება არ მაქვს, მშვიდად და წყნარად ვიყო. სწორედ ამიტომ ვიწყებ შიმშილობას, რადგან მხარდაჭერის ყველა სხვა ფორმას აზრი დაკარგული აქვს“, – ასეთი სიტყვებით მიმართა ბატონმა შალვამ თავის მეგობრებს გერმანიაში და „თეთრი მოძრაობის“ დამფუძნებლებს.

თავისი გადაწყვეტილების შესახებ ბატონმა შალვა ნიკლაურმა აცნობა ფრანკფურტში ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის თავმჯდომარეს, ბატონ კარლ პაფენს და ქალბატონ ვანდა ფონ ზიგლერს, აგრეთვე, წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციას.

შალვა ნიკლაური აკაიო წერეთლის სახელობის მე-19 საშუალო სკოლის (ოსეთში) კურსდამთავრებულია, არის ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის გერმანული სექციის წევრი, ეროვნული მოძრაობის ვეტერანი, ახალი პოლიტიკური ძალა „თეთრი მოძრაობის“ წევრი და ქართულ-ოსური მისიის დამფუძნებელი.

კონფერენცია: ჩეჩენი ხალხის ე. ნ. გენოსიდის აღიარება და მისი შედეგები საქართველოსთვის



2011 წლის 15 ივნისს, სასტუმრო „BETSY'S HOTEL“-ის საკონფერენციო დარბაზში სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია გაიმართა თემაზე: „ჩეჩენი ხალხის ე. ნ. გენოსიდის აღიარება და მისი შედეგები საქართველოსთვის“.

კონფერენციის ორგანიზატორები არიან არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობა“ და ევროპის ინსტიტუტი. საინფორმაციო მხარდაჭერას ასორციელებენ გაზეთები: „საქართველო და მსოფლიო“, „ილორი“, ჟურნალი „ისტორიული მემკვიდრეობა“, საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი“.

როგორც საქინფორმიდან საუბარსა და საკუთარ მოხსენებაში „ისტორიული მემკვიდრეობის“ ხელმძღვანელი ტარიელ გაგინიძე აცხადებს, „სხვადასხვა საერთაშორისო ანალიტიკური ორგანიზაცია საქართველოს პარლამენტის მიერ ჩეჩენთა ე. ნ. გენოსიდის აღიარების ფაქტს რუსეთის მიმართ აგრესიულ ნაბიჯად ახსენებს. ჩეჩენთა გენოსიდის თემა 90-იანი წლებიდან წამოიწია. სხვადასხვა ინტენსივობით გააპქტიურებდნენ მას მისი ავტორები, ხან მიზნდებოდა და როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებად რუსეთთან კონფორტაციის პოლიტიკა აირჩია, აქტიურად დაიწყო ამ თემის გამოყენება და მუხრანა. რუსეთთან კონფორტაციის პოლიტიკამ რა შედეგებამდე მიგვიყვანა, ვნახეთ - ამის უკანასკნელი თვალსაჩინო მაგალიტი 2008 წლის აგვისტოს მოვლენები და საქართველოს ტერიტორიების 20%-ის დაკარგვაა. ნაცვლად იმისა, რომ ამ ყველაფერიდან დასკვნები გამოეყვანა, ხელისუფლება ჯიუტად აგრესიულად ადებულ კურსს, ამჯერად უკვე ჩეჩენთა ე. ნ. გენოსიდის აღიარებით. პირადად მე მიმაჩნია, რომ ამ ქველდობი გამოყენებით შედეგი არ იქნება განსხვავებული იმ შედეგებისგან, რომლებიც რუსეთთან კონფორტაციით აქამდე მივიღეთ“ - განაცხადა გაგინიძემ.

კონფერენციის კიდევ ერთი ორგანიზატორი ორგანიზაცია „ევრაზიის ინსტიტუტი“ დირექტორ გულბაათ რეხვიაძის შეფასებით კი, ჩეჩენთა ე. ნ. გენოსიდის აღიარება თითქმის არანაირი დადებითი შედეგის მომტანი ნაბიჯი არ არის. ჩეჩენი ქვეყანა სხვადასხვა რისკის წინაშე დგება. ჩრდილოეთ კავკასიაში ხალხი საქართველოს ხელისუფლების პროვოკაციებზე წამოსაგებად და ამით რუსეთთან ურთიერთობის განსაზღვრებად მოწოდებულნი არიან. ნაცვლად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ქულები დაიწეროს, ამ ხალხთან ურთიერთობები გაუარესდება. საქართველოს პარლამენტს ე. ნ. გენოსიდის აღიარების თხოვნით რამდენიმე ვითომ დიასპორის წარმომადგენელმა მიმართა და, შესაბამისად, ეს არ შეიძლება ჩეჩენების ინტერესების გამოხატვად ჩაითვალოს, - აღნიშნა საქინფორმიდან საუბრისას და საკუთარ მოხსენებაში რეხვიაძემ.

ძირითადი მონაწილეების შემდეგ კონფერენციაზე გამოვიდნენ ლონისიების სხვა მონაწილეები, რომელთაც განსახილველი თემის ირგვლივ საკუთარი შეხედულებები დაავიქსირეს:

წარმომადგენლების რიგი დადგებოდა იმავე მოთხოვნებით და ასევე მოხდა - იმავეს ითხოვენ სომხთა, ჯურთებისა და მუსლიმანი მესხების წარმომადგენლები. საქართველოს ხელისუფლების აღნიშნული გადაწყვეტილება სოჭში დაგეგმილი ოლიმპიადის წინააღმდეგაა მიმართული და ის სუფთა პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. ჩეჩენებთან დაკავშირებით მესიჯი უცხოეთიდან მოდის და ამის უკან სერიოზული ძალები დგანან. საქართველომ ამ გადაწყვეტილების მიღებით წააგო, სხვებმა კი მოიგეს“.

აიპ „ისტორიული მემკვიდრეობის“ საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარე, ჟურნალ „ისტორიული მემკვიდრეობის“ მთავარი რედაქტორი თამარ შიშოძე: „ეს აღიარება იყო საქართველოს ხელისუფლების უზარმაზარი შეცდომა, მან ამ ნაბიჯით ბევრი რამ დაკარგა. უმჯველია, რომ ეს იყო ნაბიჯი რუსეთის წინააღმდეგ“.

ექსპერტ-პოლიტოლოგი ნანა დემურაშვილი: „ეს გადაწყვეტილება მცირერიცხოვანი ჯგუფის წრეში მომწიფდა, რაც დაუშვებელია. გარდა ამისა, ხელისუფლებამ, რომელიც საკუთარი ხალხის გენოსიდზე არ დაახამხამებს თვალს, სხვისზე როგორ უნდა ისაუბროს“.

გაზეთ „ილორი“ რედაქტორი როლანდ ჯალაღანიანი: „ვიდრე საქართველოს რუსეთთან კარგი ურთიერთობები აკავშირებდა, მას მყარი პოზიციები შექონდა კავკასიაზე და ამაზე რუსეთიც უნდა დაფიქრდეს რაც შეეხება ჩეჩენებს, ყველაზე კინც ისტორიაში გარკვეულია, კარგად იცის, რომ არანაირი მტკიცებულებები გენოსიდთან დაკავშირებით არ არსებობს. ეს არ იყო გენოსიდი, ეს იყო დეპორტაცია“.

ჟურნალ „ისტორიული მემკვიდრეობის“ პასუხისმგებელი რედაქტორი დარეჯან ანდრიაშვილი: „ჩრდილოკავკასიელებთან ურთიერთობების გაუმჯობესებაზე ფიქრი აუცილებელი იყო, თუმცა არა რუსეთის გაღიზიანების ხარჯზე. საქართველომ ეს საკითხი ძალიან მარტოვად გადაჭრა, რითაც ქვეყანა ახალი რისკების წინაშე დააყენა. წარმოუდგენელია, რამდენად ავად შეიძლება მოუტრიალდეს ეს ვრს“.

საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი“ კორესპონდენტი ბაია ამამუაშვილი: „განაღებულია ბრძოლა კავკასიისთვის, აშშ იბრძვის გაგინიძის მოსაპოვებლად კავკასიაში და ეს საკითხი სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ, ისევე, როგორც სსრ კავშირის დაშლის შემდეგ წამოჭრილი მრავალი პრობლემა. ეს რუსეთის ჯიბრზე კეთდება, თორემ საქართველო მსოფლიო არენაზე დიდი მოთამაშე არ არის და მის მიერ აღიარება-არაღიარება არავითარ განსაკუთრებულ როლს არ თამაშობს. რას მოიგებს საქართველო, თუ რუსეთის ფედერაცია დაიშლება? ის მუსლიმანურ გარემოებაში მოექცევა და წარსულში - იმ სასტარტო პოზიციაზე დაბრუნდება, რომელშიც მეფე ერეკლე მეორემ დროს იმყოფებოდა. ასეთი მაგნიტობითაა დაკავებული ე. ნ. საქართველოს მოქმედი ხელისუფლება, ამიტომ საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი“ საუბრით მხარს უჭერს დღევანდელი კონფერენციის ჩატარების იდეას, რადგან საქართველოში ოპიზიციისგან განსხვავებული ობიექტური აზრი ამ საკითხზე დღემდე არავის გამოუთქვამს“.

პუბლიცისტი ირაკლი შიშოძე: „ეუერთდები ჩემ წინ გამომსვლელთა იმ მოსაზრებაში, რომ ეს ნაბიჯი საქართველოს რუსეთთან კონფორტაციის მეტს არაფერს მოუტანს. ჩრდილოკავკასიელი ხალხი წარმოადგენს გარკვეულ ბუფერს, რაც მას პროპაგანდული ქვეყნებისგან განასხვავებს და მისი რუსეთისგან გამოყოფა ჩეჩენების აღიარებით და სხვა დაუფიქრებელი ნაბიჯებით ჩვენთვის დადებით შედეგებს არ მოიტანს“.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ, ასევე, პუბლიცისტი ზურაბ ჯამბურია და სხვები. კონფერენციის დასასრულს მონაწილეებმა ერთობლივი შემაჯამებელი განცხადება მიიღეს.

დ. თბილისში 2011 წლის 15 ივნისს ე. ნ. გენოსიდის აღიარების შესახებ გამართული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილეთა ერთობლივი განცხადება

„აშკარაა, რომ საქართველოს უმადლესი ხელისუფლების მიერ ინიცირებული ჩეჩენული წარმოშობის ხალხთა ე. ნ. გენოსიდის თემის განხილვა სახელმწიფო სტრუქტურების დონეზე და ამ ე. ნ. გენოსიდის ოფიციალური და სახეიმო აღიარება პარლამენტის მიერ განპირობებულია საქართველოსა და რუსეთს შორის აქამდე არსებული ურთულესი სიტუაციით. საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთს გამოუცხადა ერთგვარი „ცივი ომი“, უკვე დიდი ხანია, ხელისუფლების წარმომადგენლებს რუსეთის მუდმივ ოპონენტებად იქცნენ, რაც ხშირ შემთხვევაში ელემენტარული დიპლომატიური ეთიკის ფარგლებსაც კი სცილდება“.

დღევანდელი კონფერენციის მიზანი იყო მხოლოდ ერთი - იმის დადგენა, თუ რამდენად შეიძლება, საქართველოს პარლამენტის მიერ ჩეჩენთა ე. ნ. გენოსიდთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება იყოს საქართველოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის, ანუ დამოუკიდებელი სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისი.

ჩვენ გაითვალისწინეთ საკითხის ამგვარი დასმისათვის შესაძლო კრიტიკა ჩვენი მისამართით, მაგნათ შეიძლება უარყოფითი ჩეჩენული ხალხების საკითხის განხილვის ანტირუსული სარწმუნო და განაცხადი, რომ ე. ნ. გენოსიდის აღიარება ტერორისტების დადგენისა და ისტორიული სამართლიანობის აღდგენისათვის გაკეთდა, რაც თავისთავად უნდა მოვიზოროთ საქართველოს ინტერესების შესაბამისად. მაგრამ ირკვევა, რომ საქართველოში საკითხი არ იქნა სიღრმისეულად განხილული, ხოლო ხელისუფლების მიერ მოწვეულ ქართველ მეცნიერებათა ჯგუფს, რომლის დასახელებაც საფუძვლზეც პარლამენტმა ფორმალურად აღიარა ე. ნ. გენოსიდი, არ გაანალიზა იმის კომპლექსი, ამა თუ იმ მოვლენას მისცეს ისეთი პრობლემური კვალიფიკაცია, როგორც გენოსიდი“.

რუსეთის იმპერიის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის, მათ შორის, ყაბარდოს შემოერთება დრამატული, მაგრამ ამასთან მსოფლიო ისტორიისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა. რუსეთის მიერ კავკასიის მთიანეთის დაპყრობა და ათვისება ოსმალეთის იმპერიის გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდა, ოსმალეთი კი რუსეთთან ამ გეოპოლიტიკურ ჭიდილში, როგორც ცნობილია, რელიგიურ ფაქტორს აქტიურად იყენებდა. ჩეჩენული ხალხების ზერელე-ფორმალური, მაგრამ მძინე ისლამიზაცია საქართველოს იყო იმისათვის, რომ იხინი რუსეთს აქტიურად დაპირისპირებოდნენ - ოსმალური იმპერიის წაქეზებით. რუსეთის იმპერიას ყაბარდო-ჩეჩენთა მიმართ იმავე მტეი არაფერი ჩაუდგინა, რაც ამ ჩაუდგინათ ევროპულ კოლონიზატორებს ეკვლა დანარჩენ კონტინენტზე დასავლეთის კოლონიზატორული პოლიტიკის პირობებში მსოფლიოში სისხლის ზღვა დადგა, მრავალი ცივილიზაცია და კულტურა გადაშენდა, აღარ არსებობს ბევრი ეთნოსი და ენა, რომელიც უწინ არსებობდა. მაგრამ მხელი წარმოსადგენია, რომ თანამედროვე სახელმწიფოებმა დაიწყეს მსოფლიო ისტორიის ცალკე აღებულ ვრცელი ეთნოლოგიის კვალი-ივრებება გენოსიდად. გამოდის, რომ მთელი მსოფლიო ისტორია გენოსიდის უამრავი ფაქტისგან შედგება, რაც თავად ამ ტერმინის გაუფასურებასა და ნივთიერებას ახდენს, არღვევს მის განსაკუთრებულობას, სიმძიმეს უკარგავს მას.

რაც შეეხება ე. ნ. ჩეჩენთა გენოსიდის აღიარების ჩეჩენულ-ბაშკურულ-დასავლეთ საქართველოსათვის. ჩვენი აზრით, პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ქართულ სახელმწიფოს აყენებს რამდენიმე სერიოზული პრობლემის წინაშე, რომლებიც თავს იჩენს როგორც ახლო,

ისე შორეულ პერსპექტივაში. პირველი, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც გამოიხინა „ორიგინალი“ და აღიარა ე. ნ. ჩეჩენთა გენოსიდი. მოსალოდნელი არ არის, რომ რომელიმე სხვა სახელმწიფო საქართველოს მხარს აუბამს. ამრიგად, გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი საქართველოს მარგინალიზაციისკენ საერთაშორისო არენაზე.

მეორე, რუსეთის ფედერაციაში ჩრდილოკავკასიელი ხალხებს, მათ შორის, ჩეჩენებს, ყაბარდოელებს, ადიღელებს - აქვთ საკუთარი ავტონომიური რესპუბლიკები, რომლებიც მოსკოვის დირექციებზე არიან დამოკიდებული. ამ რესპუბლიკებს არავითარი ინტერესი არ გააჩნიათ, აუშხედრდნენ რუსებს ისტორიულ საკითხებთან დაკავშირებით. თურქეთის და არაბული ქვეყნებისგან განსხვავებით, რუსეთის ფედერაციაში მცხოვრებ ჩრდილოკავკასიელებს აქვთ თავიანთი ავტონომიები, სკოლებში მშობლიურ ენებზე განათლების მიღების საშუალება, უმადლესი სასწავლებლები, ეროვნული კულტურის კერები მოსწონს საქართველოს ხელისუფლებას თუ არა, ეს ხალხები ლოიალურად არიან განწყობილი რუსეთის მიმართ და არ ამქდავენებენ ტენდენციას, აჰყენენ საქართველოს ხელისუფლებას, რაც ისევე და ისევე ამ უკანასკნელს ადგებს უხერხულ მდგომარეობაში და ამით საქართველოს ინტერესები ზარალდება. საქართველო გრძობს ერთგვარად კომიკურ ვითარებაში, როდესაც იგი ცდილობს ჩრდილოკავკასიელი ხალხებს მოახვიოს თავისი შეხედულებები მათ საკუთარ ისტორიასთან დაკავშირებით. მაგრამ საფრთხე მხოლოდ ამაში არ მდგომარეობს. სასებით შესაძლებელია, რომ „გენოსიდის აღიარებაში“ საქართველოს მიმართ აღნიშნული ხალხები უფრო ნეგატიურად განაწილდნენ, რადგან მათ შეუძლიათ, ეკვი შეიტარონ ქართული მხარის გულწრფელობა და იგი მათსა და რუსეთს შორის ეროვნებათაშორის უფლის ჩამოგდებას და პროვოკაციის მცდელობაში გადასაწაშალო. თბილისში მოწვეული ზოგიერთი უცხოური დიასპორის წარმომადგენლის აზრი ვერ გადაფარავს ჩრდილოკავკასიელთა რეალურ განწყობებს. ეს აუცილებლად გასათვალისწინებელი ფაქტორია. საქართველოს შეიძლება ბევრად უფრო აქტიურად „შეასწავნონ“, რომ ჩრდილოკავკასიელთა ძალისმიერი დამორჩილება ხშირ შემთხვევაში ქართველთა ხელით ხორციელდებოდა და აქედან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლების სხვენებზე გადაწყვეტილებით „გენოსიდში“ ქართველების დადანაშაულების წინაპირობა შეიქმნა.

მესამე, საქართველოს ხელისუფლება არ ითვალისწინებს, რომ რუსეთის იმპერიის თავის დროზე არანაკლებ რთული ურთიერთობა ჰქონდა აფხაზ კონოსთან, რომლის დიდი ნაწილი აფხაზ და ოსმალეთში გადავიდა. აფხაზების ისტორიის ეს მონაკვეთი კარგად ახსოვთ, მაგრამ მთლიანობაში აფხაზები რუსეთის მიმართ მეტად ლოიალურად არიან განწყობილი და მიმე ისტორია მათ ხელს არ უშლით, ორიენტაცია რუსეთზე ჰქონდათ ადებულ და არა საქართველოზე. საქართველოს ხელისუფლების ლოიკით, თუკი ე. ნ. ჩეჩენთა გენოსიდ იქნა აღიარებული, მაშინ აფხაზთა მუპაჯირობაც „გენოსიდად“ უნდა შეფასდეს. საქართველოს ხელისუფლება აღიარებს „აფხაზთა გენოსიდს“ თუ არ აღიარებს, იგი 1992-1993 წლების ქართულ-აფხაზური და 2008 წლის ქართულ-ოსური ომის შემდეგ ერთობ გროტესკულ ვითარებაშია მოქცეული.

მეოთხე, ჩეჩენთა „გენოსიდის“ საკითხი 1990-იანი წლებიდან მსოფლიოს მასშტაბით აშშ-ს შექმნილმა საერთაშორისო სტრუქტურებმა წამოჭრეს, ამ პროცესში ძალიან მალე დაუფარავად ჩაერთნენ აშშ-ის სპეცსამსახურების წარმომადგენლები (მაგალითად, პოლ პენზე), გამოიცა ტენდენციური მასალები ე. ნ. ჩეჩენთა გენოსიდთან დაკავშირებით, ადიღო-ჩეჩენული დიასპორების წარმომადგენლებს აშშ-ში და ევროკავშირმა გრანტები გამოუყვეს ხოლო 2010 წლის ნოემბრის ბოლოს

ამერიკული ჯეიმსთაუნის ფონდისა და ილიას უნივერსიტეტის ორგანიზებით თბილისში ჩატარდა კონფერენცია თემაზე: „ორიგინალი ენები - ბოროტმოქმედებები გრძელდება. ჩეჩენები და ჩრდილოკავკასიელი ხალხები წარსულსა და მომავალს შორის“. სწორედ ამ კონფერენციაზე მიიღეს მიმართვა საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისადმი. ყოველივე ეს იძლევა საფუძველს ვთქვათ, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ ე. ნ. ჩეჩენთა გენოსიდის აღიარება ამ კამპანიის შემადგენელი ნაწილია, არ არის დამოუკიდებელი გადაწყვეტილება და ემსახურება საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო მეტად დაძაბვას. ამასთან, რა თქმა უნდა, როგორც ეს უკვე ნაწილობრივ აღინიშნა, აშშ თვითონ არ აპირებს წინა პლანზე გამოჩნდეს და რამე „გენოსიდი“ აღიაროს ჩრდილოეთ კავკასიაში.

მესუთე ე. ნ. ჩეჩენთა გენოსიდის აღიარება უხერხულობას ქმნის მეზობელ სომხეთთანაც, რომლის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია თურქეთში სომხთა გენოსიდის აღიარება. საქართველოში ე. ნ. ჩეჩენთა გენოსიდის აღიარების წაქეზება დააყენებს ჩეჩენთა ერთ-ერთი დიასპორის ცალკეულმა წარმომადგენლებმა, რომლებსაც ოფიციალურ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში არავითარი სტატუსი არ გააჩნიათ. განსხვავებით ე. ნ. ჩეჩენთა გენოსიდისგან, სომხების გენოსიდის აღიარების საკითხს აყენებს სომხეთსა სახელმწიფოს, - როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის, - ოფიციალური ორგანოები და ეს ზოგიერთი სახელმწიფოს პარლამენტმა აღიარა, საქართველოს კი ეს ნაბიჯი არ გადადგამს. ჩვენ არ ვაფასებთ, მართებული იქნება თუ არა სომხეთსა გენოსიდის აღიარება საქართველოს მიერ, მაგრამ ფაქტია, რომ პრიორიტეტი ცალმხრივად მიენჭა ჩეჩენთა საკითხს. ამ ფონზე „ჩეჩენთა გენოსიდის“ აღიარებამ შეიძლება სომხეთის, ისევე როგორც ვაფლანკის სომხური დიასპორების გაკვირება, განაწილება და გააქტიურება გამოიწვიოს, რაც ქართულ მხარეზე შესაბამისი ზეწოლის პროვოცირებას მოახდენს.

შეგვიხსენოვს, რომ ჩრდილოკავკასიელთა ძალისმიერი დამორჩილება ხშირ შემთხვევაში ქართველთა ხელით ხორციელდებოდა და აქედან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლების სხვენებზე გადაწყვეტილებით „გენოსიდში“ ქართველების დადანაშაულების წინაპირობა შეიქმნა. საქართველოს შეიძლება ბევრად უფრო აქტიურად „შეასწავნონ“, რომ ჩრდილოკავკასიელთა ძალისმიერი დამორჩილება ხშირ შემთხვევაში ქართველთა ხელით ხორციელდებოდა და აქედან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლების სხვენებზე გადაწყვეტილებით „გენოსიდში“ ქართველების დადანაშაულების წინაპირობა შეიქმნა.

ჩვენ, კონფერენციის მონაწილეები, მივიჩნევთ, რომ ისტორიული მემკვიდრეების აფორიაქების მცდელობა ეროვნებათაშორის უფლის გაღვივების მიზნით, სისხლიანი კონფლიქტების პროვოცირება და მათი გამოყენება ცალკეული ქვეყნების გეოპოლიტიკურ ინტერესებში კატეგორიულად მიუღებელია. ეს განსაკუთრებით სახიფათოა კავკასიაში - მრავალეროვნულ რეგიონში, რომლის ხალხებს ერთმანეთთან ურთიერთობების რთული ისტორია აქვთ. საქართველოს ხელისუფლების სწრაფვა, კავკასიის რეგიონში შორეული ქვეყნების ინტერესები და მითითებები განახორციელოს, გამოუსწორებელ ზიანს აყენებს საკუთარ ხალხს და ართულებს მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობას, რაც ცალსახად მიუღებელია და დაგმობის ღირსია.





# ზეპირსიტივიერების მარბალიზები

ხალხურ ზეპირსიტივიერებას ფეხები უხსოვარი დროიდან უდგას. ამ ფენომენზე მოკრძალებული წერილის შედგენა ღვაწლ-მოსილი ქალბატონის, ზაირა ფაჩულიას მიერ მოწოდებულია ორმა კავია-ლექსმა მიკარნახა, რომელიც მე-8 საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება.

ვიდრე მკითხველს მათ წარუდგენდნენ, მინდა ვთქვა, რომ პოეტურ ფოლკლორს, ანუ ხალხურ პოეზიას უდიდესი როლი ერგო და დიდი მასშტაბებით შეისხა ფრთები საქართველოს ყველა კუთხეში.

ხალხური პოეზია შუქს ჰფენს ისტორიის რომელიმე პერიოდს, იმდროინდელ ენას, პანგს, წარმოდგენებსა და ჩვეულებებს, რაც ერის, ლიტერატურის ორგანული ნაწილი გახდა.

მეკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ხალხური პოეზია უმთავრესად შექმნილია "მაღალი" კლასის წარმომადგენლების მიერ, რადგან სწორედ მათ გააჩნდათ განათლება. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ მეფეების, მთავრების შეხვედრებზე იმართებოდა მხარეთა შეჯიბრი გონება-მახვილურ და ენამოსწრებულ თქმაში, უეჭველია, რომ ხალხური პოეზია მოსახლეობის ყველა ფენის ბრძნული ნაზარბუთი კეთილი ნაჟურია, რომელშიც ჩანს მათი სისხარტე და ენამჭკვრლობა.

სხვადასხვა ქვეყანაში გართობისა და ნიჭიერების გამოვლენის სხვადასხვა საშუალებები არსებობდა. მაგალითად, რომში – გლადიატორთა ბრძოლა, საბერძნეთში – სპორტული თამაშები, სხვაგან – ფარიკაობა და ჯირითი. საქართველოში, ძირითადად, მარულა, ჭიდაობა და კაფიაობა იმართებოდა.

ამ მხრივ საინტერესოა პეტრე უმიკაშვილის ღვაწლი. მან მთელი ცხოვრება "ხალხური სულიერი განძის" შეგროვებასა და გამოცემის საპატიო საქმეს მიუძღვნა.

დასაფასებელია ვახტანგ კოტეტიშვილისა და უამრავ სხვათა ღვაწლი ამ მიმართულებით. ჩვენი წინაპარი წერს: "ხალხური პოეზია ჭა არის, რამდენიც არ უნდა იღო წყალი, მაინც არაფერი აკლდება"-ო.

დაიხ! ყველა კუთხეს საკუთარი დიალექტი-სათვის დამახასიათებელი ნიმუში აქვს შექმნილი. ბევრმა მათგანმა წერა-კითხვა არ იცოდა. დღეს კი არსებობს ვიდეო, კინო, რადიო, ხალხური მარბალიზების ჩაწერა და შენახვა გააღვივებულია. ამჯერად შეპირებული ლექსების პირველ ნაწილს შემოგთავაზებთ.

ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორეს პყავდა გონებასხელი მდივანი სოლომონ ლეონიძე. განთქმული ექსპრომტული წარმოსახვით თქმაში. ლეონიძემ თურმე კაფია მიუძღვნა სამეგრელოს წარმომადგენელს, დიდ ნიკო დადიანს.

ბატონი ნიკო საკმაოდ განსწავლული იყო, მეტადრე საქართველოს ისტორიასა და ერის წარსულის საკითხებში. წერდა ამ თემებზე საკუთარ მოსახრებებს.

სოლომონ ლეონიძის მიმართვა დიდი ნიკოსადმი:

შენ რომ ნიკო, შავი კიკო,  
შენ რომ მეფემ ავი გიყო,  
სიცრუისა, დორას ტიკო,  
ვაუკაცად აღარ ვარგისარ,  
ლეკურს ტყვილა არ აბზიკო,  
ღომის ცეხვა ბეგრად გმართებს,

ზურგით უნდა კიდევ წიკო.  
დიდ ნიკოს უმაღლე შეუბრუნებია  
საკადრისი პასუხი:

სოლომონ მდივანო, გიბრძანებ,  
დადიანის ძე ვარ, ნიკო,  
გახსხული, გაღურჯული,  
შავი, სმელი, მუხის ჯრიკო,  
ქართლის ნაღლეტ-განაცვეთო  
შენებრ როგორ გაგიღლიტო,  
შენი თავი ხელში მომცა,  
ხუთჯერ ჯოხი ზურგზე გდრიკო.

ცხადია, არც თუ იშვიათად ურთიერთ-შეპაექრება ისეთ ახარტში შედიოდა, რომ ზრდილობის ფარგლებს სცილდებოდა და ურთიერთს უხამსი სიტყვებით მიმართავდნენ. პეტრე უმიკაშვილი წერს: "მე გამოვიცხე ჩემის კრებულის გამოცემებიდან ისინი, რომელნიც ანუ იგავით, ანუ ალევორით და ან გამოხატულებით წარმოვიდგენდნენ უმართებლო და უშვერ ლექსისა ანუ მნიშვნელობასა წინააღმდეგა ზნეობისათა და ამით არ იყვნენ ღირსნი სტამბისაცა".

იქნებ ამიტომ ვერ აღმოვანიხე ხალხური ზეპირსიტივიერების ტომებში ქვემოთ მოყვანილი გაშირება, რომელიც გურული მელექსის თამარისა და სამეგრელოს მთავრის წარმომადგენლის ოდელია დადიანს შორის გაიმართა.

თამარის მიმართვა ოდიშელისადმი:

გურიელმა თქვენი მოსვლა,  
დიდებითა დააფასა,  
და თქვენს მსლებელ ოდელისა,  
თამარიამ გადააფსა.

თავმოქმედ ოდიშელს შეუბრუნებია ასევე უხამსი პასუხი:

თამარიამ სიტყვა მკადრა,

ნამუსიდან გამოსულმა,  
ოდელიამ ტრაკში გაჰკრა,  
ოდიშიდან ჩამოსულმა.

თუ მეფეთა და მთავართა შეხვედრებზე ენამახვილი მოშიარეები იქვედნენ ენას, მშრომელი, უბრალო მოსახლეობა სამეგრელოში "ჯარბალაზე" იკრიბებოდნენ და ფანდურზე, ჩონგურზე თუ გიტარაზე სატრფიალო, საყოფაცხოვრებო, შრომით, მითოლოგიურ, საგმირო თუ სხვა შინაარსის პოეზიის მარბალიზებს წარმოსთქვამდნენ თუ მღეროდნენ.

ბეზიანეში იუსტინე (1897 წელს დაბადებული) ხშირად იხსენებდა სოფლის შეკრებაზე თუ როგორი ხალისით ერთობოდნენ. იხსენებდა არაერთ ლექსს თუ კაფიას.

როცა თავი ასტკივდებოდა, "ქიცას" წაკრავდა შუბლზე და ქვემოთ მოყვანილ სატრფიალო სტროფებს ლოცვასავით იმეორებდა:

ღუსი მაჭუ წაბიწკუმა,  
ქოღმოჯირუნ ძღაბიწკუმა,  
თიშ შხვართალა ხელეფს,  
გურშა წორო ქეგებწკარა,  
თავი მტკიავა შუბლის წინა,  
ქალიშვილთან დამაწვინა,  
მისი ლერწამის მკლავები,  
გულზე თბილად დამაწვილა.

ხალხში ზეპირსიტივიერების მარბალიზები უღვევადია. ყველას ვაღია მათი შეკრება და მომავალი თაობებისათვის შენახვა.

ბორის ლავითაია,  
მწერალი, ღირსების ორდენოსანი,  
აკავი წერეთლის სახელობის  
პრემიის ლაურეატი

## ჩერქეზების გენოციდის აღიარება: ისტორიული სამართლიანობის აღდგენა თუ სასიფათო პოლიტიკური თამაში

20 მაისს საქართველოს პარლამენტმა XVIII-XIX სს. რუსეთ-კავკასიის ომის დროს მეფის რუსეთის მიერ განხორციელებული "ჩერქეზების (აღდგენების) გენოციდი" აღიარა. რეზოლუცია, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიისა და დიასპორის საკითხებში საპარლამენტო კომიტეტმა მოამზადა 95 ხმით 0 წინააღმდეგ ერთხმად იქნა მიღებული.

საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული ასეთი არაგონივრული გადაწყვეტილება, რომელიც "ნაც-პროპაგანდაში" "ისტორიული სამართლიანობის აღდგენად" შეაფასა ანტირუსული ისტერიის კიდევ ერთი გამოვლინებაა, რომელსაც ისტორიული სამართლიანობის აღდგენასთან საერთო არაფერი აქვს. უფრო მეტიც, საქართველოს ხელისუფლება კიდევ ერთხელ ახდენს უზნეობის დემონსტრირებას როცა რუსეთის წინააღმდეგ ჩერქეზების ტრაგედიას შურისძიების იარაღად იყენებს.

არავინ დაობს იმაზე რომ ჩერქეზებს XVIII-XIX სს. თავს უდიდესი ტრაგედია გადახდა, თუმცა საქართველოს ხელისუფლებამ ისეთ მნიშვნელოვან საკითხთან მიმართებაშიც კი, როგორც გენოციდის აღიარება, ვიწრო პოლიტიკური ინტერესებით იხელმძღვანელა და არ გაითვალისწინა ის რეალური მიზეზები, რომელმაც მიიყვანა ჩერქეზები ამ ტრაგედიაში.

უპირველეს ყოვლისა არასერიოზულია ჩერქეზების ტრაგედიაზე მსჯელობისას მხოლოდ რუსეთის დანაშაულზე საუბარი, რადგან ჩერქეზების ტრაგედია იმპერიათა შორის დაპირისპირებამ გამოიწვია, რომლის მიზანს კავკასიის დაუფლება და გაკონტროლება წარმოადგენდა. ერთის მხრივ ოსმალეთის იმპერიას, რომელსაც ზურგს ინგლისი უმაკრებდა, ჩრდილოეთ კავკასია, განსაკუთრებით ჩერქეზებით დასახლებული ტერიტორია, – სჭირდებოდა საიმედო დასაყრდენად და პლაცდარმად ჩრდილოეთით შემდგომი ექსპანსიისთვის; მეორეს მხრივ კი – მეფის რუსეთი, რომელიც ცდილობდა ოსმალეთის განდევნას კავკასიიდან, რათა უზრუნველყო იმპერიის სამხრეთი საზღვრების და ახლად შემოერთებული ტერიტორიების უსაფრთხოება. იმპერიულ ძალებს შორის მოქცეული ჩერქეზები მუსლიმანურმა ოსმალეთმა თავის გავლენის ქვეშ მოაქცია

და მათ რუსეთის წინააღმდეგ „მაზა-ვათისკენ“ („წმინდა ომი“) მოუწოდებდა. ასევე ჩერქეზების ასამხედრებლად სერიოზულად მუშაობდა ინგლისის დახვეწვა.

ყოველივე ზემოთქმულიდან ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ჩერქეზები იმპერიათა შორის დაპირისპირებას შეეწირნენ და მათ ტრაგედიაზე არანაკლებ არის პასუხისმგებელი ოსმალეთი და ინგლისი. ხოლო ჩერქეზების მასობრივად გასახლება ოსმალეთში, რომელზეც ყველაზე მეტად აკეთებდა აქცენტს ხელისუფლება გენოციდის აღიარებისას, უმთავრესად ნებაყოფლობით ხასიათს ატარებდა, რომელიც რელიგიური ფაქტორით იყო განპირობებული.

რაც შეეხება ჩერქეზების გენოციდის აღიარების პოლიტიკურ მიზან-შეწონილობას: ამ ნაბიჯით საქართველოს ხელისუფლებამ სასიფათო პოლიტიკური თამაში წამოიწყო, რომელიც ზრდის რუსეთთან სამხედრო კონფრონტაციის საფრთხეს. მით უმეტეს ეს "თამაში" შეიძლება დომინოს ეფექტით განვითარდეს და როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები გვარწმუნებენ გამორიცხული არ არის, რომ სხვა ჩრდილოკავკასიელი ერების „გენოციდის აღიარებაზე“ დაიწყოს პარლამენტმა მუშაობა. რასაც ბუნებრივია რუსეთი მკვეთრი რეაქციის გარეშე არ დატოვებს.

მაგრამ ამ ეტაპზე ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ საქართველოს ხელისუფლებამ „გენოციდის აღიარებით“ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციის შანსი საბოლოოდ ხელიდან გაუშვა. რითაც უსასრულობაში გადაისროლა ქვეყნისთვის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ეს ყოველივე კი გაკეთდა მოკლევადიანი პიარ-პოლიტიკის და სააკაშვილის პოლიტიკური ვნების დასაკმაყოფილებლად.

ხელისუფლების ასეთი გაუაზრებელი ნაბიჯით არა მარტო რუსეთთან, არამედ სომხეთთანაც შეიძლება დაძაბოს ურთიერთობა, რომელიც თანაც ჩერქეზებზე არანაკლები ურთიერთობები და მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრება გვაკავშირებს. მოგეხსენებათ სომხებმაც მიმართეს საქართველოს პარლამენტს თხოვნით განიხილოს და აღიაროს პირველი

ოსმალეთის ომის დროს ოსმალეთის მიერ განხორციელებული „სომხების გენოციდი“, რომელსაც 1.5 მილიონი ადამიანი შეეწირა. მაგრამ ხელისუფლება თურქეთის ფაქტორის გათვალისწინებით სომხების გენოციდის აღიარებას არ აპირებს, რაც ბუნებრივია უმკაცროდების და უსამართლობის განცდას შეუქმნის სომხებს.

დღეს სააკაშვილი და მისი ხელისუფლება „გენოციდის აღიარებით“ ცდილობს შექმნას ვირტუალური რეალობა, თითქოს საქართველო კავკასიაში პოლიტიკური ცენტრის ფუნქციას იბრუნებს. მაგრამ არაფერს საუბრობს იმაზე თუ რა დამოკიდებულება აქვთ კავკასიელებს საქართველოს მიმართ?

ჩვენ ვერსად წაუვალთ იმ ფაქტს, რომ ჩრდილოკავკასიელ ერებთან მრავალსაუკუნოვანი რთული ურთიერთობები გვაკავშირებს. თუმცა დღევანდელი რეალობა მაინც სავალალოა: ისინი ჩვენი მეზობელი ერები არიან, მაგრამ არა მეგობრები. რადგან საქართველოს წინააღმდეგ გამართულ ყველა სასტიკ ბრძოლაში, განსაკუთრებით ჩერქეზები და ჩენები, აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას და მუდმივად სეპარატისტების მხარდაჭერას გამოხატავდნენ და გამოხატავენ დღესაც. ამ რეალობის იგნორირება და არგათვალისწინება დამღუპველი შედეგის მომტანი იქნება.

თუმცა საქართველოს ხელისუფლება ვაღდებულება ჩრდილოკავკასიელების გულის მოსაგებად და კეთილმეზობლური ურთიერთობების დასამყარებლად, უპირველეს ყოვლისა კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში თანამშრომლობა ავადგინოს. მაგრამ რუსეთის წინააღმდეგ მათი პოლიტიკური ინტრიგებში ჩართვა კატეგორიულად დაუშვებელია, რადგან რუსეთს არათუ საფრთხედ, საფრთხობელადაც თუ მოგვეჩვენეთ, მაშინ ვერც სააკაშვილის ლიტონი სიტყვები და ვერც 20 მაისს დეკლარაციების მიერ ქანცის გაწვევამდე დაკრული ტაში გვიშველის.

და ბოლოს ჩემი გამოსვლა მინდა დავასრულო ილია ჭავჭავაძის სიტყვებით: „საკუთარი კეთილდღეობა ჩვენის მეზობლის კეთილდღეობაზე დამოკიდებული, რომ მეზობლის უბედურებაზე ჩვენი ბედნიერება ვერ დაფუძნდება, ვერ აშენდება“.

ზურაბ ჯაბუშია,  
პოლიტოლოგი

## დედა სამშობლოს ძახილი

ქართველო, გაუტყველო!  
ღმერთი გიკურთხებს შინ შვილსა!  
გიმრავლოს მანდილოსნები  
გაფრინდაშვილის ჯიშისა!

წყალნი წაფენ და წამოვლენ,  
ბედი გრგებია ქვიშისა;  
ღალატის ნაგავს წაიღებს  
წლები ვაის და ვიშისა.

პოსტის მფლობელი კაცუნა  
ვასშიამი არის შიშისა,  
ლაჩარი შეეწირება  
შენი მოსპობის შიმშილსა.

მუხთალი რისხვად გუგუნებს  
შურისძიების ვიცი ხმა;  
ქართველო, კენესად უქციე  
მამულიშვილთა სისხლის სმა!  
გივი სომხიშვილი

## ჭუა ჯვეში

მუთუნ ვა მფ ორაგადე  
მა ოჭიშიშ უკახალე,  
ასე ვამყო, ომარგაღეს  
ჭუა ჯვეში მუახალე...

შურ დო გურით თის ვოცადუქ  
იდე წიმი, იახალე,  
გურჭვილს ხოლო გურ დუგაჭუ  
ჯვეში ჭუა მოაიახალენ...

ბრელ მითორე სოღა-სოღა,  
გიტმაჩამალ, ცუხი, ფოჩო,  
თინა მოკო, ვაგოშინენ  
ჭუა ჯვეში – იორკოჩე...

ნოსტალგია  
ქართმა ხარგელო ქიმურქინ,  
ქართალ „ტო“ რე გაღენ მოთა,  
მაჭრა დღამ უკულო შურსე  
ჩქიმ ზუგაღელმა მუფოყოთა...

ღურუშ თია  
მა სისმარო აწამირუ;  
ღურუქ მალას ქუმურქია,  
თქმენ ღუდი მავაყვილე  
ირკუმ ვოორეთ  
ღურუშ თია...

\*\*\*  
მა ვართხულე, გიმოდინე,  
მიკომლუე, ქომბირე,  
ჩქიმ თხუალა თენა ორე  
– სი აკაშა ქომბირე  
რამაზ კუპრა

# იოსებ ქობალია: ქართული ეთნობრაუი, მებრული ზაპირსიზფვიიკაზის შაპკაზი

საქართველოს ისტორიის, კერძოდ, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის საკითხების შესწავლის საქმეს მან დიდი სამსახური გაუწია. დატოვა მდიდარი ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალა, ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული ხასიათის ნარკვევი.

ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის ფონდებში დაცულია იოსებ ქობალიას ძე ქობალიას არქივი, რომელიც მეცნიერთა და მკვლევართა ყურადღებას იპყრობს, ხელნაწერი მასალა მნიშვნელოვან ცნობებს მოგვარწმუნებს მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. აქ უხვადაა მასალები სამეგრელოს ყოფილი, ისტორიისა და კულტურისა და ადამიან-წესებზე. იოსებ ქობალია დაიბადა 1867 წლის 17 თებერვალს, სოფელ კორცხელში, მკვდრის ტორტა ქობალიას ოჯახში.

დედა ზარანდიას ქალი იყო. დედ-მამის შვილები ათნი იყვნენ, 5 და 5 ძმა. პირველადწვევითი განათლება იქვე კორცხელში მიიღო. მასწავლებელი - კორცხელის მამასახლისის შანყვა ქობალიას შვილი ივანე იყო, რომელსაც ჯამაგირს სოფელი უხდიდა. შემდეგ სწავლობდა ზუგდიდში, მერე ხონის სამასწავლებლო სემინარიაში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სწავლობდა ფრიალებზე.

სხვა და სხვა დროს უმუშავებია ცაიშის, კორცხელის, ლუხვიანის (დენხუშის მახრად), ცაგერის, ბაქოს და ონაშირის სკოლებში. დიდძალ სკოლის გახსნისა, 1897 წ. დარჩელის ორკლასიან სკოლაში მუშაობდა 1919 წლამდე. 22 წელი იმუშავა მან აქ და ნაყოფიერადაც. პირველ ხანებში უჭირდა. როგორც მისი ავტობიოგრაფიიდან ჩანს, ყოველი მხრიდან შეტევას უცხადებდნენ, მაგრამ ორი წლის შემდეგ მდგომარეობა გამოსწორდა. ერთმა შვილი მოუნათლა, მეორემ მასთან შვილი დააყენა საცხოვრებლად. ასე რომ, „უსწავლელი“ „ნასწავლად“ იქცა და ასე აუხსნა მას ხალხური სიბრძნე „კოც კონი ქოჯოჯოჯი, იში ორი ღირსება ნარკო აძირენია, და კოჯოჯი იში ორი ნაკლი ღირსებათ აძირენია“.

იოსებ ქობალიას ნაშრომები ხშირად ქვეყნდებოდა სხვადასხვა პურნალებში და კრებულებში, კერძოდ **Измифическая колхиды**. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ივანე ჯავახიშვილი „ქართველ ერის ისტორიაში“ მრავალჯერ იმეორებებს იოსებ ქობალიას მოსაზრებებს. წარმართულ პერიოდში ნადირთა და მონადირეების ღვთაებებზე მინეული იყო ანატორი, ონოპინტრე, ბონი. სამეგრელოში ძველად იყო ერთი ჩვეულება - დიდმარხვის წინა დღეს მებრელები იხსენებენ ერთ ღვთაებას, რომელსაც „**ჟინი ანთარი**“ ეწოდება. ზენა, ზეციური ასე ითარგმნება „**ჟინი**“, რომლის მიმართ სამეგრელოში ყოველწლიურად სრულდებოდა კულტომისახურება. დიდმარხვის წინა დღეს დილა ადრითან სიმინდის ფქვილის ნაფურცხისაგან დიდ ოთხკუთხა კვერს ამზადებდნენ და ვახშად კერაზე აცხობდნენ, რომელსაც სახლის უფროსი ოთხკუთხა ნაჭრებზე ყოფდა და თანაც შემდეგ ლოცვას წარმოთქვამდა: „**ჟინი ანთარი, ბატონი გომორძველი, ჩქიმი ორინჯი სი ამიშენი**“ და სხვა. ე.ი. ზენა ანთარი, ბატონო გამარჯვებულო, ჩქიმი საქონელი შენ მომიშენეო. ვინც ამ მოვლულობას პირნათლად ასრულებს, იმას სწამს, რომ მისი საქონელი და ყანები ზარალისაგან უზრუნველყოფილია ერთი წლის განმავლობაში. ესეა სამეგრელოში ყველას მივიწვევებელი ჰქონია „**ანთარი**“ მნიშვნელობა და ადარების ოცნა, თუ რა ღვთაება იყო, წერს ი. ქობალია („**მითოლოგიური კოლხეთიდან**“). სამეგრელოში დიდმარხვამდე 25 დღით ადრე ოთხშაბათს დაღესასწაულდებენ „**ნერნიში ხვამა**“ს. ნერნი - ფუქეს, იმ ნიადაგს, მიწას ნიშნავს, სადაც სახლი დგას. ნერნიში ხვამა (ნერნისადმი ოხვრა, ლოცვა, ვედრება). მებრელებს სწამთ ეს ღვთაება „**ნერნი ბატონი**“, რომელიც ფუძის ბატონს უდრის. ლოცვა სრულდებოდა მხოლოდ იმ

სახლში, რომელიც მიწის პირას იდგა, რომ „**ნერნი**“ ვედრება შეისმინოს, სახლში, რომელიც მიწაზე მალდა, ხის ან ქვის ბოკონებზე დგას და ხის იატაკი აქვს, ლოცვა არ შეიძლება („**მითოლოგიური კოლხეთიდან**“).

სამეგრელოში სწამთ ტყის მეფის, ანუ როგორც მებრელები ეძახია „**ტყაში მაფას**“ არსებობას. ტყის დედოფალი მათი წარმოდგენით მხეთუნახავია, გრძელთმიანი, შიშველი ქალია და მთელ ნადირთა მოდგმის მბრძანებელი „**ტყაში მაფას**“ გარდა, ნადირთა და ფრინველთა მფარველ ღვთაებად „**მესეფიც**“ იყო. მისი წყალობითა და ნებაყოფლობით, თორემ ვერც ერთი მონადირე ნადირს ვერ მოკლავდა, როცა „**მესეფიც არ ნებაგს ნადირს ან ფრინველს ნასროლს თავიდან ააციდენს**“. იოსებ ქობალიას აზრით, მეცხევი მამრობითი სქესისაგან არის და მდებარეობს ტყეში და მინდორში მყოფ ნადირსაც ხალხის რწმენით ჰყავს თავისი საკუთარი მფარველი ღვთაება. ნადირთ ბატონს „**გალენიში ორთა**“-ს სამეგრელოში პატივს სცემენ. მას უმზადებენ საგანგებო შესაწირავს, უძღვნიან საჭმელ-სასმელს და სახლის უფროსი მხურვალედ, მაგრამ საიდუმლოდ ევედრება „**გალენიში ორთა**“-ს „**დიდებულსა და სახელოვანს**“ მისი საქონელი ნადირთა საკბილოდ არ გახადოს.

იოსებ ქობალიას ნაშრომში „**კოლხეთის მითოლოგიიდან**“, როგორც ვნახეთ, მრავალ წეს-ჩვეულებათა და ცრუმორწმუნეთა გადმონაშთია გადმოცემული. ასევე გადმოცემულია სალოცავი წეს-ჩვეულებები, რომლებიც ჯანყენილია კერპთაყვანისმცემლობისა და მაჰმადიანობის ნიადაგზე და აქამდე შემორჩენილია სამეგრელოში.

მოსხვი მებრელები ახალი მთვარის დანახვისას პირით თურქეთისკენ დგას და ღმერთს ცოლ-შვილის გახარებას შესთხოვს. საინტერესოა სახალწლო წეს-ჩვეულებები და ლოცვები. ახალ წელსა და წმინდა სოლომონზე ასეთი მასალა აქვს ჩაწერილი იოსებ ქობალიას. მებრელები ახალ წელს ითვლიან არა ღამის 12 საათიდან, არამედ 1 იანვრის დღის 12 საათიდან. წელიწადში 363 დღეა და წმინდა სოლომონამც ამდენივე ხელობა მოაქვს.

პირველი ხელობა მკვდლობაა. სოლომონი მუხლზე იდებდა გავარგარებულ რეინას და ვითომ მუშტით ჭკვავდა, ამიტომ ხალხს ვერ ასწავლა. მერე ღმერთმა მოიგონა გრდემლი და ჩაქუჩი და ასწავლა ხალხს ხელობა.

ერთხელ სოლომონმა სთხოვა ღმერთს ერთი დღით მე ვმართავ ქვეყანასო. ღმერთი დაეთანხმა. სოლომონმა ხახა, რომც ცხენოსანს წყაროსთან ქისა ამოუვარდა ჯიბიდან და იქვე მცხოვრებმა იპოვნა. დამკარგავმა წყაროსთან მისულ მებრე კაცს დააბრალა ქურდობა და მოკლა. სოლომონი აღშფოთდა და დედამიწას ჩაქცევა უბრძანა. მიწამ ჩაქცევა დაიწყო. მაგრამ ღმერთმა დროზე ჩამოართვა სოლომონს მმართველობის უფლება, აუხსნა, რომ უკანონოდ არაფერი ხდებოდა. მოხუცს ცხენოსნის სისხლი ემართა, ცხენოსანს კი ციხის ამღების ფული ემართათ. ღმერთი ვითომ ყველაფერს თავის რიგზე განაგებს.

საინტერესოა „**ელიაობა**“. ელიას დღე იყო 20 ივლისს, რომელიც დაკავშირებულია ეშმაკების განდევნასთან და განწმენდასთან. ხის ქერქისაგან დამზადებულ სავერებს აყვირებენ. მებრელები წარმოდგენით ეშმაკებს კატის, მგლის და ბუხს ხახე აქვთ, ღამე მდინარეს აცლიან „**მიგნეულობას**, როცაპი მათი ბატონია. ტაბაკონის მთაზე ცხოვრობს და ჭამს შიგნეულობას. ოჯახებსა და მინდვრებში დიდ ჯვრებს აკეთებდნენ და მათი ეშმაკებს ეშინოდათ.

მას აქვს ჩაწერილი ზოგიერთი ფრინველისა და

ცხოველის დასწრების ჩვეულება. ახალი წლის შემდეგ პირველ ნახვაზე უნდა დაასწრონ ცხოველებსა და ფრინველებს ისე, რომ პირდაუბანელნი ანდა უზმობე არ შეხვდნენ.

საყურადღებოა მის მიერ ჩაწერილი სხვა მასალებიც. **ღმერთის მიერ სამყაროს შექმნა**. ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა ეშმაკი გამოჩნდა და მანაც წილი ითხოვა. ღმერთმა ვაზი დარგო, ეშმაკმა თხები გააჩინა და ვაზს მიუსია, ღმერთმა თხების შესაჭმელად მგელი გააჩინა. ღმერთმა ხე გააჩინა და ვინც მასზე ავა, ღმერთი უნდა ახსენოს, ასეა ახლაც სამეგრელოში.

**მზე და მთვარე**. მათ ადამიანური თვისებები აქვთ. შეუყვარდებოთ ერთი ქვრივის ვაჟი, ამიტომ საწყალ ბიჭს სახლში არ აჩერებდნენ. ერთხელ ქვრივი ძროხას წველიდა და მზე და მთვარე მივიდნენ. ქალმა ახალი ნეხვი ესროლა. მზემ მოისახრა, იქვე რძით ჩამოიბანა და ისე ავიდა ცაში. მთვარე კი ზღვისკენ გაიქცა. გზაში ნეხვი შეაშრა, კარგად ვერ ჩამოიბანა და ზეუ ლაქები დარჩა. ამიტომ არის ახლა ნაკლებ კაშკაშა. მზე მებრეულად ბუა (რძე) ჰქვიანო.

**წმინდა გიორგის ამაგი**. წმინდა გიორგი კარგი მხედარი და მძღავრი მეომარი იყო. ძალიან ბევრს ჭამდა. ღმერთს ეს არ მოსწონდა, ამიტომ გამოაცალა კუჭი და ერთ მუხის წვერზე შედო. წმინდა გიორგიც შეურიგდა ხვედრს. ღმერთს სთხოვა: მინდა ხალხი ოთხივე მხარესა თავიანს მცემდეს, სადამდეც შენი ისარი გასწვდებაო. ამიტომ კავკასიაში ყველა ერთნაირად ეთაყვანება. მებრე დღეს წმინდა გიორგიმ ისევ ჩაიღვა მუკელი. ამიტომ არის ილორის ეკლესიაში მის ხატს მოპარულ ხბოს წწირავენ ხოლმე. სხვათაშორის, ამბობენ, ერთხელ ვითომ ილორის ეკლესიაში მოპარული ჩინელი გოგონაც შეუწირავთო.

საკულისხმოა მისი გადმოცემები ფლორისა და ფაუნის შესახებ.

- **ნიორი და ხახვი**. კაცმა ეშმაკი დაიჭირა და ქვეყნის სანახავად ატარებდა. ბაზარში ეშმაკმა დაინახა ქალი, რომელიც ხახვს ნიორზე ცვლიდა და გაუყვირა - თქვენში სიკვდილს (ხახვს) სიკვდილის საწინააღმდეგო (ნიორზე) ცვლიანო?

- **მიწის ჭია**. მიწის ჭიას უთხრეს, ჩქარა ქვეყანა დაიქცევაო. მან თავი დაიბრძავა - არ დავიანხოო.

- **კურდღელი**. დედა კურდღელმა ბატონს ჰკითხა: ერთი წელი გავოვო თუ სამი დღე და დამეო. შვილს მებრე უფრო გრძელი ეგონა და ის ამოიჩნია. ამიტომ არის, რომ კურდღელს მხოლოდ სამი დღე და დამე აწოვებს დედა რძეს.

- **გველი, მერცხალი, ფუტკარი და ბაყაყი**. გველი ანგელოზი იყო. ღმერთმა გველად აქცია და დიდხანს მშიერი დადიოდა. ღმერთს ფუტკარი და მერცხალი მიუგზავნია, ღმერთმა მათვე დაავალა მისთვის გემრიელი საჭმლის არჩევა. ფუტკარმა ბავშვის ხორცი არჩია, მერცხალმა მას ენა ამოაგლიჯა და ბაყაყები ურჩია. ღმერთმაც ეს დაუნიშნა გველს საჭმელად. წაბლის ტყვები ბაყაყები წაბლს აგროვებენ, კბილები ამოგვივა და შეშვამთო.

როგორც ვნახეთ, იოსებ ქობალიამ მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა გადაურჩინა ქართველ ხალხს, რომელიც ასე ძვირფასია ჩვენი უბედული წარსულის შესასწავლად.

ამოუწურავია და ფასდაუდებელი მისი ნაშრომები, რომლებიც დღესაც დიდ ინტერესს იწვევს, როგორც ქართველ, ისე უცხოელ მეცნიერებს.

## საქართველო არ ცდილობს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობები მოაბზაროს

ამიერკავკასიის უსაფრთხოებისა და სტაბილურობისადმი მიძღვნილი ვენევის მოლაპარაკებები ადასტურებს, რომ საქართველო არ ცდილობს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობები მოაგვაროს. ამის თაობაზე რუსეთის საგარეო ურთიერთობათა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრე ლუკაშევიმ განაცხადა. „ვენევის მოლაპარაკებების მომდევნო ტარების შედეგები ადასტურებს, რომ ქართული მხარე, სამწუხაროდ, არ აყენებს არანაირ კონსტრუქციულ წინადადებებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობების დასარეგულირებლად და სულ უფრო მისწრაფვის პროპაგანდისტული რიტორიკისაკენ“, - განაცხადა მან.

## თემურ შაშიაშვილი: „სერბები ბალაფშს ქართველებსა და აფხაზეთს შორის მებობრობისა და ამოგონის აღდგენა სურდა“

პოლიტიკური მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი სერბები ბალაფშის გარდაცვალების გამო აფხაზ ხალხსა და ბალაფშის ოჯახს სამიმარს უცხადებს. „სერბები ბალაფშის გარდაცვალებამ დიდად შემაწუხა და გული მატკინა. ჩვენმა 25-წლიანმა ნაცნობობამ, ხანგრძლივმა მეგობრობამ არაერთგზის დამარწმუნა, რომ მას თავისი ხალხი საოცრად უყვარდა, ქართველების მიმართ კეთილი განწყობა ჰქონდა და დარწმუნებული ვარ, რომ გულის სიღრმეში ერთიან საქართველოზე ფიქრობდა კიდევ. მრავლისმთქმელია ის, რომ მისი მეუღლე ქართველია, მისი და დეა უახლოესი ნათესავები დღესაც თბილისში ცხოვრობენ“, - ნათქვამია შაშიაშვილის მიერ გავრცელებულ სამიმარის წერილში.

აქვე „თეთრების“ ლიდერი ბალაფშთან ბოლო სატელეფონო საუბარსაც იხსენებს და აცხადებს, რომ „სერბები ბალაფშს ქართველებსა და აფხაზეთს შორის მეგობრობისა და ამოგონის აღდგენა სურდა. სერბების სიტყვები დღესაც ჩამესმის. მან მითხრა, რომ „ქართველებს გული აფხაზეთზე არ უნდა გწყდებოდეთ, ჩვენი დაპირისპირების მიზეზი საკუთარ თავშიც და, უპირველესად, საკუთარ ხელისუფლებაშიც უნდა ეძებოთ. თუ დღეს, როცა როგორც ქართველებში, ისე აფხაზეთში საკ-

მაოდ ბევრი ვართ, რომლებმაც ერთმანეთის მეგობრობის ფასი ვიცით და ჩვენს ურთიერთობებში გარღვევა არ მოხდა, მომავალი კარგს არაფერს მოგვიტანს, რადგან მომდევნო თაობები ერთმანეთის მიმართ სრულიად გაუცხოებული იქნებიან. ასეთი დიდი გარღვევის შანსი მხოლოდ ერთი შარტავას თაობას გვაქვს. მით უფრო, რომ ერთიანადი დამოკიდებულება აფხაზეთში განსაკუთრებულად კარგია და ჩვენ, მისი მეგობრები, თავს დამნაშავედ ვგრძნობთ მისი ტრაგიკული დაღუპვის გამო“. ასე მხოლოდ მომავალზე დაფიქრებულ კაცს შეეძლო ეახროვნა და სწორედ ასეთი იყო სერგო“, - ნათქვამია შაშიაშვილის წერილში.

## რუსეთისა და საქართველოს პატრიარქობამ რუსები და ქართველები დალოცეს



მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილის გზავნილში მესხეთე რუსულ-ქართული პოეტური ფესტივალის - „სიზმრები საქართველოზე“ - მონაწილეთათვის ნათქვამია, რომ ქართველებსა და რუსებს სულიერი ძიძობის მჭიდრო ჯაჭვი ავაკვირებს და მას განსაცდელი ვერაფერს დააკლებს, რადგან არ არსებობს უფრო მყარი საფუძველი მეგობრობისათვის, ვიდრე საერთო ლოცვა და ჭეშმარიტი მშვენიერებისადმი სიყვარულია.

ფესტივალის მონაწილეებისადმი მიმართვა გაგზავნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემაც. მიმართვაში ნათქვამია, რომ უფალს ვვედრებით ჩვენს სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი და კეთილი ურთიერთობების აღდგენას.





# როგორ მოვიბრთ არჩევნები

**(ანუ პოლიტიკური იმიჯის ფორმირება საარჩევნო კამპანიის პერიოდში)**

გაგრძელებთ პუბლიკაციებს ბეჭდავს ახალგაზრდა ქართველი პოლიტოლოგის ზურაბ ჭაბჭავაძის ამავე სახელწოდების წიგნიდან.

## პოლიტიკური იმიჯის ფორმირება საარჩევნო კამპანიის დროს (შეხვედრის გამოცდის შემდეგ)

კანდიდატის სახის ვიზუალიზაცია, მისი იმიჯის კომუნიკაციური უნარის სიძლიერეს განაპირობებს. ამიტომ, კანდიდატის ვიზუალიზაციის სახის ცვალებადობა არ შეიძლება. იგი უნდა იყოს უცვლელი და არ უნდა დაირღვეს. მაგ. ჩერხილის სახე სიგარით ხელში, ყველას ახსოვს და ყველას ცნობიერებაში ასეთად არის აღბეჭდილი. თუმცა, როგორც ვთქვამთ იგი პირობითი იყო, ანუ მისი ვიზუალიზაცია სახის შენარჩუნებას ემსახურებოდა, რადგან მას შეუძლია ედო უცხოში ნახევრადმე ნამჭრალი სიგარა, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში იყენებდა რესპოდენტების ყურადღების მისაქცევად.

კანდიდატის იმიჯის ფორმირება ხდება კონკურენტის იგნორირების გზითაც. ამ დროს კანდიდატს იმიჯიკერები წარმოაჩენენ ერთადერთ და საუკეთესოდ, რომელსაც ქვეყნის გადარჩენა შეუძლია, მის კონკურენტს კი არა. ასეთი სტრატეგია აჩვენა არჩეული 1980 წ. რეიგანის იმიჯიკერებს ჯიმ კარტერის წინააღმდეგ ჩატარებული საარჩევნო კამპანიის დროს. აქ რეიგანი წარმოაჩინა იყო, როგორც ამერიკელი ხალხის მომავალი, რომელიც შეძლებს მათი მოტივების ასრულებას, რადგან მხოლოდ მასშია ძალა ერის და ქვეყნის მსხველსა. რეიგანის საარჩევნო კამპანიის სლოგანი ასე გამოიყურებოდა: „დადგა დრო, დადგა დრო ლიდერობისთვის, დადგა დრო რეიგანისთვის“

ანალოგიური (კიდევ უფრო მწვავე) სტრატეგია აჩვენა არჩეული ედუარდ შევარდნიანს ასლან აბაშიძის და მისი პარტიის – „დემოკრატების“ წინააღმდეგ 1999 წ. საპარლამენტო არჩევნების დროს. არჩევნებამდე ედუარდ შევარდნიანმა განაცხადა, რომ „მოდის შეზღუდული ძალა, რომელიც ყველაფერს მოსპობს და სამოქალაქო ომს გამოიწვევს, აღარ იქნება დემოკრატია და არც ის, რაც ჩვენ გავაკეთებთ“. და აქტიურად, ამომრჩევლებს მოუწოდა არჩევანი თავისი პარტიის სასარგებლოდ გაეკეთებინათ.

როგორც უკვე აღინიშნა, ყველა კანდიდატი ცდილობს იმიჯიკერის დახმარებით წარმოაჩინოს მიღწევა, ხოლო ეს უკანასკნელი კი საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე აყალიბებენ საიმიჯო სტრატეგიას, რომელიც კანდიდატის პიროვნული თვისებებისა და საზოგადოებრივი მოთხოვნებისადმი იქნება შესაბამისი. მაგ. 1972 წ. ნიქსონის იმიჯიკერების მიერ შემუშავებული სტრატეგია მიხნდა ისაზოვდა:

- პრეზიდენტის, როგორც აქტიური პირის წარმოჩენას, რომელსაც შეუძლია სერიოზული გადაწყვეტილების მიღება, იგი არის ადამიანი, რომლის შევსება მოხდება შედგენის მიხედვით და არა ფუჭი სიტყვებით;
- პრეზიდენტის წარმოჩენას, როგორც პერსპექტიული ხევის ადამიანისა;
- პრეზიდენტის წარმოჩენას მამაც, უნარიან და თავდადებულ ადამიანად;
- იმ პრობლემების წინ წამოწევის, რომელიც ყველაზე უფრო მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის.

იმიჯის ფორმირებისას ძირითადი ამოცანაა, რომ ამომრჩეველს შეექმნას შთაბეჭდილება კანდიდატის გულწრფელობისა და დინამიზმის შესახებ, რაც მიიღწევა მისი რეპუტაციის შინაარსობრივ და სიმბოლურ მხარეებს შორის შესაბამისობის დამყარებით. ამიტომ იმიჯიკერები ახდენენ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას კანდიდატის მითოლოგიზაციის, ხმების დაყრის და სხვა მეთოდების მეშვეობით, რომელიც კანდიდატის რეპუტაციის ფორმირებას ემსახურება. რეპუტაცია კი თავის მხრივ ამაგრებს კანდიდატის სიმბოლურ (იმიჯურ) და შინაარსობრივ მხარეებს, რაც ამომრჩევლებში ნდობის მოპოვებას ხელს უწყობს.

იმიჯიკერები ცდილობენ ამომრჩევლების ფარული მისწრაფებებისა და გელოვნების გაგებას, რადგან მის საფუძველზე უნდა შექმნან კანდიდატის იმიჯი და შეძლენ მიმართონ მანიპულირების ხერხებს.

## პოლიტიკური მანიპულირება

**პოლიტიკური მანიპულირება** არის მასობრივი ცნობიერების მართვის ტექნოლოგია, რომელიც კანდიდატის მიმართ საზოგადოებრივი აზრის პოზიტიურად შეცვლას ემსახურება. პოლიტიკური მანიპულირება არის მიზანმიმართული, უხილავი ზემოქმედება მასობრივ შეგნებაზე, რომელიც ყველანაირ ძალადობას გამორიცხავს. იგი ხელს უწყობს იმიჯის ფორმირებას და მის მასებში გავრცელებას.

პოლიტიკური მანიპულირება სოციალ-პოლიტიკური მითების მასობრივ შეგნებაში დანერგვას ემსახურება, რადგან მითები არის ილუზორი იდეები, რომლებიც ამკვიდრებენ გარკვეულ ფასეულობებს და ნორმებს, რომელიც შემდეგ მასობრივი ცნობიერების მიერ ჭეშმარიტებად აღიქმება, ყველანაირი რაციონალური განსჯისა და კრიტიკული გააზრების გარეშე, რადგან მასობრივი შეგნების მიერ ხდება მითის ინტერპერტირება და რეალურ მოვლენებთან დაკავშირება.

ამრიგად, პოლიტიკური მანიპულირება საარჩევნო კამპანიის დროს იმიჯის შექმნის პროცესში, მასობრივ შეგნებაში ილუზიების დანერგვას ხელს უწყობს, რომლის მეთოდ-ხერხები იმიჯიკერების მიერ სპეციალურად არის შემუშავებული.

### ოპიონირების სტრატეგია

იმიჯიკერების მიერ კანდიდატის იმიჯის შესაქმნელად გამოიყენება **პოზიციონირების** სტრატეგია, რომელიც ამომრჩევლების წინაშე კანდიდატის საინტერესო და პოზიტიური სახით წარდგენას უზრუნველყოფს. პოზიციონირების მიზანს წარმოადგენს ის, რომ ამომრჩევლების მიერ კანდიდატი აღქმული იყოს, როგორც ძლიერი და საიმედო წინამძღვარი, რომელსაც თავისუფლად ანდობენ ქვეყნის და საკუთარ ბედს.

იმიჯიკერმა კანდიდატის პოზიციონირებისას შეიძლება წარმოაჩინოს ის მახასიათებლები, რომელიც ყველაზე მეტად დაინტერესებს ამომრჩევლებს. მაგ. მიხეილ სააკაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებისას პოზიციონირებდა, როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის და კორუფციასთან მებრძოლი დემოკრატი, რომელსაც არ უჭირს საზოგადოებასთან ურთიერთობა და ა. შ.

კანდიდატის იმიჯის ფორმირებას ხელს უწყობს ზოგიერთი თვისებები, რომელიც მის პოლიტიკურ მოღვაწეობასთან არ არის დაკავშირებული. მაგ. ოჯახი, პოპი, მინაური ცხოველები, ჯანმრთელობა და ა. შ. ეს თვისებები ბრყინვალედ გამოიყენა რონალდ რეიგანმა დადებითი იმიჯის შექმნის მიზნით. რეიგანს თბილი, მოსიყვარულე დამოკიდებულება შეუძლია ოჯახის, განსაკუთრებით პეულის (ნენის) მიმართ. ეს სამაგალითო საქციელი იყო, არა მარტო ამერიკელებისთვის, არამედ, მთელი მსოფლიოსთვის; საერთაშორისო ურთიერთობის დროს, როდესაც ამერიკის პრეზიდენტის გაცილებით ცერემონიას აწვევდნენ, რეიგანი ტრავს მუდამ ახალგაზრდული მხნეობით, კლკანტურად და საკმაოდ სწრაფად აირბუნდა ხოლმე. ამით იგი ცდილობდა წარმოეჩინა თავისი ფიზიკური შესაძლებლობები. რეიგანის პოპი იყო ცხენოსნობა და ამ გატაცებას დიდ დროსაც კი უთმობდა. ეს კი დადებითად მოქმედებდა ამერიკელებზე, რადგან ცხენოსნობა მათთვის ჭეშმარიტი **„ვესტერნ-ლაიფი“**, ხოლო მისი მიმდევარი **„ამერიკელი გმირი“**, ყოველივე ეს ხელს უწყობდა რეიგანის იმიჯის გამყარებას და კომუნიკაციურობას.

დადებითი იმიჯის შექმნისათვის აუცილებელია შემდეგი ზოგადი მოთხოვნების გათვალისწინება: კანდიდატი უნდა იყოს მკერმეტყველი, ხალისიანი, უბრალო, საზოგადოებასთან პოზიტიური ურთიერთობის უნარის მქონე, რადგანაც საჭიროა მათი კეთილგანწყობის მოპოვება. მკერმეტყველება კანდიდატს დამაჯერებლობას ანიჭებს, ზომიერი კეთილგანწყობა ბაღებს. ხოლო კეთილგანწყობის მოპოვება კი ელექტორალური მხარდაჭერის საწინდარია.

საარჩევნო კამპანიის დროს, როცა პროპორციული არჩევნებია, იმიჯიკერების საქმიანობა პოლიტიკური პარტიისადმი სპეციფიკურ მიდგომას ნაჩიროებს. რადგან ამ დროს პარტიების მოქმედებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. წარმატებულად ჩატარებულ საარჩევნო კამპანიას არა მარტო პარტიის იმიჯის ამაღლება, არამედ მისი **„ლიდერად“** ქვევცე შეუძლია. ამიტომ, იმიჯიკერებმა პარტია მუდმივად

უნდა ამყოფონ კომუნიკაციური ურთიერთობაში ამომრჩევლებთან და ამ უკანასკნელთა ინფორმირება მათთვის განსაკუთრებით მოახდინონ.

თანანდროვე მსოფლიოში, განსაკუთრებით საქართველოში, ამომრჩევლები ხმას აძლევენ არა პარტიული იდეოლოგიის მოწონება-გაზიარების მიხედვით, არამედ პარტიის ლიდერის იმიჯს, მის ავტორიტეტს, რომელიც საზოგადოებაში პოპულარობით სარგებლობს. ამიტომ აუცილებელია ლიდერის იმიჯის ამაღლებაზე ზრუნვა, მაშინაც კი, როცა პროპორციული არჩევნებია, რადგან ელექტორატის მოზიარების საქმეში ლიდერის იმიჯი გადაწყვეტს ფაქტორს წარმოადგენს.

მარგარეტ ტეტჩერის იმიჯიკერი, ბრენდან ბრიუსი დიდი ბრიტანეთის მაკროეკონომიკური განვითარების უზრუნველსა ამ საკითხისადმი, რომელიც მეტად საინტერესოა ბრიუსის აზრით:

- ვინაიდან, დიდ ბრიტანეთში არასაპრეზიდენტო სისტემაა, იქ პარტიები უფრო დიდ როლს თამაშობენ ვიდრე ლიდერები;
- არაპოპულარული პარტიის პოპულარული ლიდერი, როგორც წესი მარცხდება;
- პოპულარული პარტიის არაპოპულარულ ლიდერს გამარჯვების დიდი შანსი აქვს;
- იმიჯიკერებს შეუძლიათ ბევრი რამ შემატონ ლიდერის იმიჯს, მაგრამ არა პარტიის პოლიტიკის ჩვენების ხარჯზე;
- არ ღირს თანამსახური ეფექტების როლის გადაფასება (მუხისკა, გადაღება, მონტაჟი);
- ამომრჩევლები თავის არჩევანს აკეთებენ იმის მიხედვით, თუ რამდენად რეალური და შესრულებადია კანდიდატის დაპირებანი.

თუმცა დღესდღეობით ვითარება შეიცვალა (ნაწილობრივ) – არჩევნებში პოლიტიკური ლიდერის ფაქტორს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ იმიჯიკერები პარტიის ლიდერის იმიჯის შექმნას დიდ ყურადღებას უთმობენ, რადგან ლიდერის იმიჯის სიძლიერეზე დამოკიდებულია საარჩევნო კამპანიის წარმატება – ძლიერმა ლიდერმა შეიძლება საშუალო მონაცემების პარტია გამარჯვებამდე მიიყვანოს და პირიქით – უსტამბო ელდერმა ძლიერი პარტიის მარცხი განაპირობოს.

### დებატები

ამომრჩევლებს კანდიდატის აღქმის, გაცნობის და მათ მიმართ დადებითი თუ უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბების საშუალება ეძლევა კანდიდატებს შორის გამართული **დებატების** მეშვეობით. კანდიდატებს დებატების დროს ეძლევათ შექმნის საძიებლობა ძირითად საკითხებთან დაკავშირებით გამოთქვან საკუთარი აზრი. დებატები აძლევენ კანდიდატებს თავისუფალ სადისკუსიო გარემოს, სადაც ისინი თანასწორ პაექრობაში ებმებიან. დებატები არის ის საშუალება, რომლის დროსაც კანდიდატებმა უნდა მოახდინონ ამომრჩეველთა კეთილგანწყობის მოპოვება, რაც მათი იმიჯის ამაღლებას ხელს უწყობს. ამიტომ, იმიჯიკერები, სანამ კანდიდატი დებატებში წარსდგება (ნაებტება) წინასწარ ამუშავებენ სცენარს თუ რაზე უნდა ისაუბროს, ოპონენტის მხრიდან მის კრიტიკაზე რა რეაქცია პირადეს და ა. შ., რადგან მცირე შეცდომას, ოპონენტის გამოწვევებზე (ბრალდება, კრიტიკა) არაადეკვატურ და გაუზრუნველ რეაქციას შეუძლია გადაწყვიტოს კანდიდატის ბედი. მაგალითად, ჟაკ სეგელა, რომელიც 1988 წ. საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში ფრანსუა მიტერანის იმიჯიკერი იყო, ერთ მნიშვნელოვან ფაქტს იხსენებს მიტერანისა და შირაქის ტელედებატებიდან. მისი თქმით: მიტერანმა დებატების დასაწყისშივე მიაყენა დარტყმა შირაქს, როცა უწოდა **„ბატონო პრემიერ-მინისტრო“**. შირაქმა თავი ვეღარ შეიკავა და დაეკვილი ანკეის წამოვიდა: **„ნება მომეცით შეენიშნო, რომ ამ საღამოს უკვე არც მე ვარ პრემიერ-მინისტრი და არც თქვენ პრეზიდენტი. ჩვენ ორი თანაბარი უფლების მქონე კანდიდატი ვართ ფრანგი ერის სამსჯავროზე გამოსული“**. მიტერანმა კი თამამად მიუგო: **„თქვენ აბსოლუტურად მართალი ბმანდებით ბატონო პრემიერ-მინისტრო“**.

– ამით მან შირაქს ყველანაირი გზა მოუჭრა, რაც საოგადოებაში მაშინათვე აისახა მიტერანის სასარგებლოდ. საეკოლოგიურების, იმიჯიკერების მიერ მუშავდება დებატების წარმოების მთელი რიგი მეთოდები. ამ მხრივ საინტერესოა

დეიდ კარნევის მიერ შემოთავაზებული თორმეტი პუნქტისგან შემდგარი **„წარმატების ფსიქოლოგია“**:

1. კამათში გამარჯვების ერთადერთი საშუალება მისგან შორს თავის დაჭერაა;
2. პარტიე ეცით თანამოსაუბრის აზრს. ნურასოდეს ეტყვი ვინმეს, რომ ის არ არის მართალი;
3. თუ მართალი არ ხართ სწრაფად და გადაჭრით აღიარეთ;
4. თავიდანვე მეგობრული ტონი შეარჩიეთ;
5. საუბრის დასაწყისში დაითანხმეთ მოწინააღმდეგე;
6. ეცადეთ მეტწილად სხვამ ილაპარაკოს;
7. დაე, თქვენთან მოკამათემ იფიქროს, რომ ძირითადი აზრი მისია;
8. გულწრფელად შეეცადეთ, რომ მოვლენებს თანამოსაუბრის თვალთ შეხვდეთ;
9. თანაგრძობით მოეკიდეთ სხვის აზრებსა და სურვილებს;
10. საუბარი უფრო კეთილშობილი მითითებ წარმართეთ;
11. საკუთარი იდეები დრამატიზებულიად და ეფექტური საშუალებით გადმოცით;
12. გამოიყვიეთ მოწინააღმდეგე ეცადეთ ცოცხალ ფაქტებს დაეყრდნოდ.

ამრიგად, ხეობთქმულიდან შეიძლება დაეახსენათ, რომ დებატები არის პოზიტიური მოვლენა, რომლის მეშვეობითაც იზრდება ამომრჩეველთა ინფორმირებულობა და კანდიდატისადმი მათი ინტერესი.

კარგი იქნებოდა დებატების კულტურა საქართველოშიც თუ დამკვიდრებოდა და საარჩევნო კამპანიის აუცილებელი კომპონენტი გახდებოდა. რომელიც იქნებოდა კანდიდატების უკეთ გაცნობის და ამომრჩევლებთან მათი

კომუნიკაციურობის საშუალება, რადგან საქართველოში საარჩევნო დებატების არარსებობა კიდევ ერთი ზარბიერა, რომელიც კანდიდატებსა და ამომრჩევლებს შორის არსებობს.

## მასმედიის (ტელევიზიის) როლი იმიჯის შექმნის პროცესში

იმიჯის შექმნა საკმაოდ რთული პროცესია. ამიტომ, იმიჯიკერები იყენებენ კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებს საზოგადოებაზე ზეგავლენის მიზნით. მაგალითად, მასმედიას, როგორც კომუნიკაციის საშუალებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საარჩევნო კამპანიის პერიოდში იმიჯის შექმნის პროცესში.

მასობრივი ცნობიერება, ინდივიდის ცნობიერებისგან განსხვავებით, ატარებს მარტივ ხასიათს. ამიტომ, მისი შეგნების ჩამოყალიბებას სპეციფიკური მიდგომა სჭირდება – იგი საჭიროებს მუდმივ კარნახს, რაც უადვილებს საკუთარი აზრის ჩამოყალიბების შესაძლებლობას. მასმედია, ინფორმაციული უზრუნველყოფის გზით ეხმარება საზოგადოებას აზრისა და შეხედულებების ჩამოყალიბებაში. იგი საზოგადოებას განსჯისა და ანალიზისათვის აწვდის მდიდარ მასალას თუ ინფორმაციას, რის შემდეგაც პოტენციურ ამომრჩეველს უყალიბდება კანდიდატისადმი (პარტიისადმი) დადებითი თუ უარყოფითი დამოკიდებულება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მასმედია ხელს უწყობს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას და ზემოქმედებს ამომრჩეველთა ქცევაზე. მასმედიის მიზანია მოაზრდის ამომრჩეველი მოტივირებული არჩევანის გასაკეთებლად. ამიტომ, აუცილებელია ამ კომუნიკაციის საშუალებაზე **„კონტროლის“** დამყარება, რადგან კანდიდატის იმიჯის ფორმირებისას მნიშვნელოვანია გაირკვეს თუ რა პოზიცია უკავია მას და, როგორ შექმნება ეს პოზიცია მასმედიის მეშვეობით.

როგორც უკვე აღინიშნა, მასობრივი ცნობიერება ატარებს მარტივ ხასიათს, რომელზეც ზემოქმედება ადვილია. მასმედიის ელემენტებიდან ყველაზე უფრო მეტად მასობრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების შესაძლებლობა **ტელევიზიას** კაპანიია. ეკრანული პროპაგანდა, რომელსაც იმიჯიკერები წინასწარი გათვლების შედეგად წარმართავენ, უზრუნველყოფს პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ამომრჩევლებში. ამავე დროს, ეკრანული პროპაგანდა საზოგადოების ვერბალური დამუშავებით არ იფარვლება და იგი მიმართავს ყველაზე ქმედით საშუალებას – თვალსაჩინოებას, რომელიც მის ჭეშმარიტად აღქმას ემსახურება.

(გაგრძელება იქნება)

# “ნ-ან-ა” ჩვენი, აზნაზეთი

ჩვენი გაზეთის მკითხველებს  
ეთაყვანობთ ნოველებს  
მწერალ  
რაფიელ ბელანტიას ამავე  
სახელწოდების წიგნიდან



## სიკვდილის არქიპელაგი

მაშინ ოკეანეებს სახელები არ  
ერქვა. იქნებ ერქვა კიდევ, ძნელი  
სათქმელია.

ერთ-ერთ მათგანში მიმოფან-  
ტული იყო კუნძულთა არქიპელა-  
გი, რომელთაგან ზოგი 5-10 კილო-  
მეტრით იყო ერთმანეთისგან და-  
შორებული, ზოგი უფრო მეტით.  
კუნძულებზე ყვავდა ცივი-  
ლიზაცია, ადამიანები ტომებად  
ცხოვრობდნენ, მაგრამ ჰქონდათ  
ძველი სახელმწიფოებრიობის ნიშ-  
ნებიც.

ბუნებამ უთანაბროდ დააჯილ-  
დოვა კუნძულები, ზოგ მათგანზე  
უხვად იყო ტყეები, მდინარეები,  
ნადირ-ფრინველი, ნაყოფიერი ველ-  
მინდვრები, ზოგი კუნძული მწირი  
იყო-ქვადორიანი, მცირეწველიანი,  
მთავორიანი, რომელიც წვრილ-  
ფეხა პირუტყვის მოსაშენებლად  
თუ ვარგოდა.

არქიპელაგი მჭიდროდ იყო  
დასახლებული. გენეტიკური სიახ-  
ლოვის მიუხედავად ხალხი სხ-  
ვადასხვა ენაზე ლაპარაკობდა,  
განსხვავებული ჰქონდათ ადათ-  
წესებიც.

რამდენიმე კუნძული მეტად  
დაწინაურდა: აშენებდნენ ციხე-  
სიმაგრეებს, სასახლეებს, მოკირ-  
წყულულ გზებს, აბანოებს, სალო-  
ცავეებს, ხიდებს, ნაგებობებს სერაფდნენ  
უკიდევანო სიერცხვებს.

თითქმის ყველა კუნძულზე  
მეომარი ხალხი ცხოვრობდა, ამი-  
ტომაც ერთმანეთზე თავდასხმები  
და ომები აქ ჩვეულებრივი ამ-  
ბავი იყო.

ომები რწმენის გამო ხდებოდა,  
მზის თავყვანისმცემლები ექ-  
იმშებოდნენ მთვარის ან ცეცხლის  
თავყვანისმცემლებს.

სასტიკი ომი იცოდნენ,  
სისხლისმღვრელი და დაუნდო-  
ბელი. ხოცავდნენ მამაკაცებს, ახ-  
ალგაზრდა ქალები ტყვეებად მი-  
ჰყავდათ. მოგვიანებით მამაკაცე-  
ბიც გაჰყავდათ დაპყრობილი კუნ-  
ძულებიდან და მიიმე საშუალებზე  
ასაქმებდნენ.

რამდენიმე კუნძულზე უმაღ-  
ლესი მბრძანებელი მეფე იყო.  
მეფე, ანუ დემეტრის შვილი, მეორე  
პირი ქურუდ იწოდებოდა, რომელი-  
ც გამოირჩეოდა არა მარტო ძა-  
ლაუფლებით, არამედ, იმითაც რომ  
ათასობით მისხნებს, ჯადოქრებს  
წინასწარმეტყველებს, სასწაულ-  
მოქმედებს წვრილია.

ხშირად მეფე ერთ ნაბიჯს არ  
გადადგამდა ქურუს გარეშე. რო-  
გორც წესი, ომის და მშვიდობის  
საკითხში გადაწყვეტი სიტყვა  
ქურუს ეკუთვნოდა, რომელიც სამ-  
სხვრეპლო ცხოველის და ადა-  
მიანის მკვლარ თვლებში კითხ-  
ულობდა ომის დაწყების თუ ზა-  
ვის დადების დროს და ადგილს.  
ქურები სუსტი მეფეების ზეო-  
ბის ხანაში სასახლის გადართი

ალებებით იშორებდნენ მეფეს და  
თვითონ ხდებოდნენ ქვეყნის ბა-  
ტონ-პატრონები. ეს, ხალხის თვალ-  
ში, დემეტრის ყოველის შემძლეობის  
ქურუსთვის გადაცემად მიანდათ  
და ქურუც დემეტრის ხდებოდა.

მზის თავყვანისმცემელ კუნ-  
ძულზე დემეტრის ყველაფერი იყო  
ადამიანებისთვის, მაგრამ შორი,  
მაღალი და მიუწვდომელი, ქურუ  
კი იქვე იყო, ყოველგვარ პრობ-  
ლემას წვევდა და ადამიანური  
სახე ჰქონდა, თუმცა თანდათან  
იკეტებოდა თავის სასახლეში,  
რომელიც გამოირჩეოდა სიმაღ-  
ლით, სიდიდით, სიმდიდრით და  
განსაცვიფრებელ გავლენას ახ-  
დენდა ადამიანებზე. უფლის  
დღეებში ხალხი ლოცვა-ვედრებით  
და ხოხვით იკრიბებოდა მისი  
სასახლის ირგვლივ.

ძლიერი და გონიერი მეფის  
გამოჩენა, ფრთებს კვეცდა ქურუთა  
ძლიერებას, მაგრამ მეფეც იყო  
მასზე დამოკიდებული და ამიტო-  
მაც ანგარიშს უწევდა მას,  
ვინაიდან ძნელი იყო სასწაულ-  
მოქმედთა დამარცხება, ჯადოქარ-  
თა ნების გადაბიჯება, წინასწარმე-  
ტყველთა რწმენის მიუღებლობა,  
რადგან ეს შეიძლებოდა მეფის  
მარცხით დამთავრებულიყო.

მეფეც, თავის ირგვლივ ძლიერ  
ჯარს და ერთგულ მყოფრებს  
იკრებდა ხოლმე, მაგრამ მეფეს  
კარგად ესმოდა, რომ ყოველი  
მათგანი ფანატიკოსი მორწმუნე  
იყო და ურთულეს სიტუაციებში,  
როცა მათი სიცოცხლე ბეწვზე  
ეკიდა, ერთადერთ იმედად ქურუ  
და მის ჯადოქრებზე რწმენდნენ.  
მეომრები, მეფისთვის მიცემული  
ფიცის გამო ბრძოლის ველებზე  
მეფეს ერთგულობდნენ, მაგრამ  
ქურუს და მის მიმდევრებსაც  
აღმერთებდნენ ხოლმე და, არც  
თუ იშვიათად, ეს იყო გადარჩენის  
ერთადერთი გზა.

ხალხი ორივეს მიაგებდა პა-  
ტივს-მეფეს, როგორც პატრონს,  
რომლის განაჩენი ბედნიერება ან  
სიკვდილი იყო და ქურუს და მის  
ჯადოქრებს, რომელთაც შეეძლოთ  
მათთვის სიკვდილის შემდეგაც  
მიენიჭებინათ სიცოცხლე.

ამდგავარი ცხოვრებით ცხ-  
ოვრობდა არქიპელაგის ყველა  
დიდი კუნძული, სანამ მათ შორის  
ტერიტორიების და ქონების მი-  
ტაცებისთვის სასტიკი ომები არ  
აბწყდა.

\*\*\*

მზის თავყვანისმცემელთა კუნ-  
ძულ კოპს, რომელიც გამორჩეული  
იყო სიმდიდრით და სამხედრო  
ძლიერებით, თავს მრავალი  
უბედურება დაატყდა. ჯერ ცუ-  
ნამმა გადაუარა და დიდი ზარალი  
მიაყენა ქვეყანას, მერე საქონელს  
ავადმყოფობა დაერია და ამოწ-  
ყვიტა პირუტყვი, გვალვამაც იმ-  
ძლავრა და ქვეყანა გააჩანაგა.  
ამო გამოდგა ქურუს მცდელობა,  
არც წინასწარმეტყველება ჰრიადა,  
არც ჯადოქრობა.

ერთი გამოსავალი დარჩა ქუ-  
რუს, სანამ მეფეს ჯერ კიდევ  
ძლიერი ჯარი ჰყავდა, დაეპყროთ  
მეზობელი ურუს ქვეყანა, რათა  
გადმოეყვანათ პირუტყვი, დაპა-  
ტრონებოდნენ კუნძულს.

მეფე, მზის შვილად წოდებული,  
ახალგაზრდა, უშიშარი და უმ-  
ემკვიდრეო, დაჰყვა ქურუს რწმენას  
და ზამთრის სუსხიან დღეებში,  
თავს დაესხა მეზობელს.

ომი სასტიკი გამოდგა.  
ურულებმა ძლიერი წინააღმდე-  
გობა გაუწიეს დამპყრობლებს, მა-  
გრამ ვერაფერს გახდნენ და როცა  
დარწმუნდნენ, რომ ბრძოლის  
გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა  
და კოპის მეფის წინაშე მუხლის  
მოყრას აპირებდნენ, მკითხავი რო-

ზას რწმენით ახალგაზრდა ქალები,  
მეომრების და პირუტყვის დიდი  
ნაწილი დამით განარიდეს საცხ-  
ოვრებლებს და გამოქვაბულებში  
ჩაასახლეს.

მზის შვილებმა მიღეწ-  
მოღეწეს ურუს ციხე-ქალაქები,  
ტყვედ წაასხეს ათასობით ქალი  
და კაცი, ათიათასობით ცხვარი  
და თხა, დაცდალეს ბედლები და  
ნაალაფართი შინ დაბრუნდნენ.

კოპის მეფე კიდევ სამი თვე  
დარჩა დაპყრობილ კუნძულზე.  
გამაგრებულ ციხეებში საკუთარი  
ჯარი ჩააყენა, მეზობელი კუნ-  
ძულებიდან ახალმოსახლებები  
ჩაიყვანა მრავლად და ერთ-  
გულების ფიცი დაადებინა.

გამარჯვებული მეფე დაბრუნდა  
თავის კუნძულზე და დიდი ნადიმი  
გამართა.

მეფე დარწმუნდა, რომ ის  
ძლიერი იყო და საქმეებიც კარ-  
გად წაუვიდა, მაგრამ ქურუს  
თვალეში რატომღაც შური  
ამოიკითხა, რომელიც მტრობას  
ურვო ჰგავდა. ცუდი სიზმარი  
იხილა, თითქოს მზე ჩამოვარდა  
ციდან და მასთან ერთად დაიფერ-  
ფლა. მეფემ დედას მოუყვა სიზ-  
მარი, მაგრამ არ დაუამდა,  
სიკვდილზე ფიქრი ვერ მოიშორა  
თავიდან.

ზაფხულის ერთ მშვენიერ  
დღეს ხანჯლით გულგაპობილი  
მეფე სარეცელში იპოვეს. იმ  
დამეს მის სარეცელს უღამაზესი  
ურუელი ტყვე ქალი იზიარებდა,  
რომელიც უკვალოდ გაქრა.

კოპის მეფე ქურუ გახდა,  
რომელმაც შრომისმოყვარე და  
მოსხრებულ ტყვე ურუელები  
ქვეყნის ერთ ტყიან ნაწილში  
ჩაასახლა და პირუტყვიც დაური-  
გა. ურუელი ქურების გულები  
მოიგო და თავის სასახლეში  
გადამალული ურუელი შეთქმული  
ღამაზმანი როზა, საყვარლად  
გაიხიდა.

ქურუს დავლებით მალე როზა  
ურუმ გაემგზავრა და მათ ზავი  
შესთავაზა, ამასთან შეუთვალა,  
რომ მეციხოვნე კოპები ამო-  
ეხოცათ.

კუნძულებს შორის აღდგა  
მშვიდობა.

ურუ დაუბრუნდა ჩვეულ ცხ-  
ოვრებას, მაგრამ კერპისადმი და-  
მოკიდებულება შეიცვალა –  
უარყვეს მთვარე, რომელიც დამარ-  
ცხდა მზესთან ომში და კუნ-  
ძულის დემეტრად უფალი აღიარეს,  
რომელსაც არავინ და არასოდეს  
ნახავდა, მაგრამ ურუელთა  
წინამძღოლი და ბატონი იქნებო-  
და. ბატონი უფალი მხოლოდ  
ერთ რამეს მოითხოვდა ურუ-  
ელთაგან – არ ეღიარებინათ კერ-  
პი, არ ეცნოთ სხვა დემეტრს,  
სანაცვლოდ უფალი სამარად-  
კამოდ აღიარებდა ურულებს მის  
რწმულ ხალხად და სხვა ხალხთა  
ბატონად.

ასე გავიდა კიდევ ათასი წელი-  
წალი.

ბატონი უფალი ურუს ყველა  
თაობის ერთადერთი და ყოველის-  
შემძლე ბატონი გახდა, თითოეული  
ურუელის სულის და სხეულის  
გამგებელი დაბადებიდან ვიდრე  
სიკვდილამდე ცაში და არქიპე-  
ლაზე.

ურუელებმა თავისი სჯული  
არქიპელაგის მრავალ კუნძულზე  
გაავრცელეს.

რწმუნის პატივმოყვარეობა  
გახდა ღამის მთელი ხალხის  
შინაგანი ძალა, რომელიც  
ასულდგომლებად მათ.

რწმუნობამ, ანუ ყველგან და  
ყველგვარში პირველობისკენ  
სწრაფვამ, ოქროს და ფულისმოყ-  
ვარეობამ, სხვა ხალხებისადმი  
ზიზღამ, თვით ურუელებს

განუშხადა უამრავი განსაცდელი,  
ურიცხვი მტერი, მაგრამ რწმუნობა  
გახდა მრწამსი ხალხისა, რომელ-  
იც აღრიდანვე მიეჩნია მოხერხე-  
ბულობას. მათთვის უფალის სახ-  
ელით საკუთარი კეთილდღეობა  
გახდა მთავარი და არა ზნობად  
წოდებული რაინდობა, გაჭირვე-  
ბულთა შეცოდება და ქველმო-  
ქმედება. მათ ფარულად ყველა  
კუნძულზე დაიდეს ბინა, მოედნენ  
იმდროინდელ ქვეყნიერებას და  
ყოველივე ამას აკეთებდნენ  
ურუელი დემეტრის სახელით.

მთიანი და ღორღიანი ურუს  
კუნძული აყვავებული ქვეყანა  
გახდა.

ურუელებს ჰქონდათ საიდუმ-  
ლო, რასაც არავის უმხედდნენ  
ყოველი ქურუ ურუელი იყო და  
მისგან მოდიოდა პირველი ცოდვა,  
რაც შემდგომ ურუელებს არა-  
სოდეს მიუწევენია ცოდვად.

\*\*\*

მტერს რა დაუღევედა ურუს.  
ჯერ სამხრეთელმა მეზობელმა  
შემოუტია, მერე დასავლეთელმა.  
ურუელებმა სასტიკად დაამარცხეს  
ისინი.

გავიდა ხანი და მეზობლები  
გაერთიანდნენ ურუს და მათ  
მხარდამჭერთა წინააღმდეგ-  
სასტიკ ბრძოლებში ურუ დამარ-  
ცხდა, რაც ხალხმა უფლის  
განაწყენებად ჩათვალა და უფლის  
სადიდებელი ახალი მოძღვრების  
შექმნას მოჰკიდა ხელი. მოჰკიდა  
ხელი და შექმნა კიდევაც მთელი  
არქიპელაგის განმაცვიფრებელი  
სადიდებელი უფლისა, რომელშიც  
თავისი ადგილი მიუჩინა არ-  
ქიპელაგის ყველა ხალხის  
გამორჩეულ სიბრძნეს და  
გამოცდილებას.

ურუ არა მარტო სადიდებლებს  
ქმნიდა, არამედ ზრდიდა  
ურულისთვის თავდადებულ ადამი-  
ანებს, წინასწარმეტყველებს,  
სასწაულმოქმედებს, მისხნებს,  
ჯადოქრებს, რომელთაც საოცარი  
დამარწმუნებელი და მისტიკური  
ძალა ჰქონდათ მტერსა თუ მოყ-  
ვარებზე.

ურუს ჰკვიანი სახელმწიფო  
მოღვაწეები მართავდნენ, რომ-  
ლებმაც მიზნად დაისახეს ყველა  
ურუელის გაერთიანება, და მი-  
აღწიეს კიდევ.

ურუელთა რწმული წარმომად-  
გენლობა სახელგანთქმულ სას-  
წაულმოქმედთა და მომჯადოე-  
ბულთა ამალით ფარულად შევიდა  
კოპთა ქვეყანაში, სადაც ურუ  
დიდ მოხელე ვეზირობდა. ვეზირი  
განუღვა მეფეს და ყოფილ ტყვე-  
თა განთავისუფლება მოითხოვა.

განრისხებულმა მეფემ ვაზირი  
სამსახურიდან გააგდო და ურუ-  
ელებს ყველაზე მძიმე და დამამ-  
ცირებელი საქმეები დააკისრა.

უხმეს თავის უფალს ურულებ-  
მა.

ურულის რწმენით ყოფილმა  
ვეზირმა, რომელმაც კარგად იცო-  
და კოპთა ძლიერი და სუსტი  
მხარეები, დიდი უბედურება დაა-  
ტყვა თავს ქვეყანას –  
ქარიშხლები, მოუსავლიანობა,  
წყალდიდობა, საქონლის ჭირი,  
ბუზანკლები, წყლულიანობა, კომ-  
ტელ დიდ მოხელეთა უცვარი  
გარდაცვალება, სამარხებიდან მიც-  
ვალბუფლთა ამოხვლა. ასე  
გრძელდებოდა რამდენიმე თვე.  
შემინებულმა კოპმა მოსახლეობამ  
ურუელებს ტერები დაარქვა, ანუ  
მათ ენაზე შიმში მთხვევლები,  
რომლებიც ყველგან ჩნდებოდნენ  
და მოულოდნელად ქრებოდნენ.  
დამფრთხალი მოსახლეობა მეფეს  
ურუელთა გათავისუფლებას თხ-  
ოვდა, მაგრამ მეფე თავისას არ  
იშლიდა.

ყოფილი ვეზირი და ტერები  
შურისძიების გზას დაადგნენ და

ურულის სახელით კოპთა ყველა  
ურუოსი ვაჟიშვილების დახოცვა  
გადაწყვიტეს.

ერთ დილით ყველა კოპის  
ოჯახში ერთბაშად იქუხა გლოვის  
ზარმა, მათ თავისი უფროსი  
შვილები მკედარი იპოვეს ლო-  
გინში, ბევრგან ცეცხლის აღმა  
შთანთქა კოპთა სახლები და ცხ-  
ოველთა სადგომები. ურუელთა  
შვილები და ქონება კი უვნებლად  
გადარჩა.

დედოფალი გლოვობდა თავის  
ერთადერთ ჩვილ ვაჟს, –  
ურულისწულს.

ახლა სისხლგამშრალი მეფე  
თავის ყოფილ ვეზირს შეეხვეწა  
ურუელთა გაყვანას.

ზეიმობდნენ ტერები, ზეიმობდა  
ურუშის ხალხი, თუმცა ბევრმა  
კარგად იცოდა კოპთა ნაყოფიერი  
მიწის ფასი, აქაური თაფლის  
სიტკობი. ვეზირმაც იცოდა ხალხის  
ნაწილის განწყობილება, მაგრამ  
ისიც იცოდა, რომ ისინი ჯერ  
კიდევ მზის თავყვანისმცემლები  
იყვნენ და არ იცოდნენ თავისი  
სჯულის და გამორჩეულობის  
სიტკობი.

კოპიდან გამოსვლის დღე  
ურუშთა დღესასწაულად დადგინ-  
და.

გლოვობდა კოპთა ქვეყანა.  
\*\*\*

გაერთიანებულმა ურუელებმა  
ახალი ცხოვრება დაიწყეს.

მალე მათი ქვეყანა უძლიერესი  
გახდა არქიპელაგზე, მაგრამ  
მტერებმა ჩივიდეს ძალაუფლება  
და არაფერზე იხვედნენ უკან.  
ურუში ადამიანთა ხოცვა-კლერა,  
სიხარბე, გაუტანლობა, ძალადობა  
მოძმეთა მიმართ, სისხლის აღრევა  
ჩვეული მოვლენა გახდა.

ტერორი, როგორც ყველაზე  
გამარჯვების საშუალება, შავი  
ჭირივით მოედო მთელ არ-  
ქიპელაგს და ერთ დროს მშვი-  
დობიანი კუნძულები დაუნდობელ  
სისხლისღვრაში გადაეშენენ ერთ-  
მანეთთან, რასაც ბოლო არ უჩან-  
და.

რწმული ხალხი თავის აკვი-  
რებულ რწმუნობას ვერ ელეო-  
და.

ასე გავიდა კიდევ  
ათასწლეული.

ადამიანები კარგად ხედავდნენ,  
რომ არქიპელაგზე კლიმატი  
იცვლებოდა, ოკეანეში ეშვებოდნენ  
კუნძულები. ხალხი ლოცვა-ვე-  
დრებაში ათენებდა და აღამებდა,  
მაგრამ ვერაფერს ცვლიდა. ეტყ-  
ობა, ზეციურმა ძალებმა რწმუ-  
ლობის მიუტეველები ცოდვისთვის  
შურისძიება გადაწყვიტეს.

ტერებმა, რომელთაც  
უზარმაზარი სიმდიდრე დაა-  
გროვეს და ოქროდ აქციეს, დიდი  
ნაგებობა ოკეანის მეორე მხარისკენ  
გასწიეს.

ბევრი მათგანი ოკეანეში შთან-  
თქა, ნაწილმა კი ხმელეთზე მოიკო-  
და ფეხი.

ორ-სამ თვეში არქიპელაგის  
ყველა კუნძული წყალმა დაფარა.

იქნებ ჩაძირული ატლანტიდის  
ლევანდ აქედან წამოვიდა.

იქნებ ტერებსაც დარჩათ  
მემკვიდრეები და მკვლელთა თო-  
ბები, რომლებიც ყოველთვის იყუ-  
ნენ და არიან დღესაც ყველა  
ხალხსა და ქვეყანაში.

ამბობენ, მათი ხელი ურევიო  
აფხაზეთის დაქვევდაში.

იქნებ კი, იქნებ არა, ვინ იცის!

რაფიელ ბელანტია  
თბილისი,  
11 სექტემბერი, 2005 წ.



„შინ“-ი ხალხთა მებობრობის სიმბოლო!



ანუ, როგორ დააბრუნა ოთხმა ვირტუოზმა მუსიკოსმა დაიწყებული აფხაზეთი ბერლინის ტურგამოფენაზე

საკმაოზე მეტად ცივი ზამთრის შემდეგ, ერთბაშად გამოაფხულდა ბერლინი.

